საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 30 ოქტომბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი: პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედ... და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 247 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 247

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბედური დედა მარო ალექსანდრეს ასული და ეკატერინე ალექსის ასული კახიანისა, ძმები პარმენ და ხუტუ გუგუშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, ოქტომბრის 30 ს დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგული

**დორა (ცუცუა) გუგუშვილის**

სულის მოსახსენებლად. წირვა 11 ს. პანაშვიდი 12. (2801—1—1)

---

გაუბედურებულნი და უსაზღვრო მწუხარებით გულმოკლულნი ცოლი მარუსია ივანეს ასული, მამა ლევან მიხეილის ძე, ძმები: შალვა და ანდრო, რძალი ელენე ილიას ასული ჯავახიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ, მეგობართ და ამხანაგებს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი სახალხო გვარდიელის

**ლავრენტი ლევანის ძე ჯავახიშვილის**

უდროოდ და ტრაღიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 ს. გამოსვენება ხუთშაბათს, 30 ღვინობისთვეს საკუთარი ბინიდან, კიროჩნი ქუჩა № 48, დილის 10 საათზე დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2812—1—1)

---

უსაზღვროთ დამწუხრებულნი დები და სიძეები: ნადია ლევანის ასული და ქრისტიფორე ივანეს ძე კიკნაძეები, ლოლა ლევანის ასული და იასონ ზურაბის ძე გიორგობიანები, ფეფო ლევანის ასული და დიმიტრი იოსების ძე გოგიბეთაშვილები, ნინა ლევანის ასული და გიორგი (ჟორჟიკა) არჩილის ძე კვალიაშვილები, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს ძვირფასი და საყვარელი პირველნი ძმის ხოლო მეორენი ცოლის ძმის სახალხო გვარდიელის

**ლავრენტი ლევანის ძე ჯავახიშვილის**

უდროოდ ტრაღიკულად გარდაცვალებას. (2812—1—1)

---

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი ივანე ანტონის ძე, ანნა ქრისტეფორეს ასული, ნინა და თამარა ივანეს ასულნი ბერიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ, მეგობართ და ამხანაგებს საყვარელი და დაუვიწყარი სიძის სახალხო გვარდიელის

**ლავრენტი ლევანის ძე ჯავახიშვილის**

უდროოდ და ტრაღიკულათ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, საკუთარ ბინაზე. გამოსვენების დღე ხუთშაბათს 30 ღვინობისთვეს კიროჩნი ქ. დაკრძალვა ძმათა სასაფლაოზე. (2812—1—1)

---

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ვასო იოსების ძე არეშიძე აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ, მეგობრებს და ამხანაგებს მისი ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლის

**ოლღა დავითის ასულის გაბუნია-არეშიძის**

უდროვოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი პარასკევს, 31 ოქტომბერს და შაბათს 1 ნოემბერს საღამოს 6 ს. გამოსვენება კვირას, 2 ნოემბერს, დილის 9 ს. (ჭავჭავაძის ქუჩის ბოლოს, თიანეთის ქ. № 6) დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2808—1—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ვასო იოსების ძე არეშიძე, და ნინა, ძმები- ლევანი და იოსები გაბუნიები და მეგობარი მისი გიორგი და ანიჩკა ცაცაშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს პირველის ცოლი, მეორეთა და უკანასკნელის მეგობრის

**ოლღა დავითის ასულის გაბუნია-არეშიძის**

უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდი პარასკევს, 31 ოქტომბერს, შაბათს 1 ნოემბერს, 6 ს. (ჭავჭავაძის ქუჩის ბოლოს, თიანეთის შესახვევი, № 6) გამოსვენება კვირას, 2 ნოემბერს, დილის 9 საათზე, დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (2808—1—1)

---

ქალაქთა კავშირის მაღაზიის თანამშრომლები აუწყებენ ნაცნობებს, მეგობრებს და ამხანაგებს უდროვოთ დაკარგვას მათივე თანამშრომლის ძვირფას

**ოლღა დავითის ასულის გაბუნია-არეშიძისა**

პანაშვიდი პარასკევს და შაბათს საღამოს 6 საათზე (ჭავჭავაძის ქუჩის ბოლო, თიანეთის შესახვ., № 6). გამოსვენება კვირას, 2 ნოემბერს, დილის 9 საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2807—1—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი: სონკა და ანიჩკა არეშიძეები, კოლა და სონა მინდიაშვილები, პელაგია მაისურაძე, პელაგია და ევა აზმაიფარაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 28 ოქტომბერს გარდაიცვალა ძვირფასი

**ოლღა გაბუნია-არეშიძისა.**

დასაფლავება კვირას, 2 ნოემბერს წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება—თიანეთის შესახვევი, № 6 (ჭავჭავაძის ქუჩ.) დილის 9 ს. პანაშვიდი პარასკევს და შაბათს საღ. 6 საათზე. (2802—2—1)

---

მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ნინა და ალექსანდრე, ძმა ვახტანგი, დები: თამარა და ნინა, ბებია ანეტა, მამიდა ოლღა, ბიძა სევერიანე და ბიცოლა ოლღა კაკაბაძენი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ შაბათს, 1 ნოემბერს დანიშნულია წლის თავის წირვა და პანაშვიდი სოფელ კუხის მაცხოვრის ეკლესიაში უდროვოდ გარდაცვალებულის

**შალვა (ბუჭუ) ალექსანდრეს ძე კაკაბაძის**

სულის მოსახსენებლათ. (2180—1—1)

---

## პირველი ქართული ლატარიის გამგეობა

აცხადებს იმ აგენტთა საყურადღებოდ, რომელთაც 25 ოქტომბრამდე არ წარმოადგინეს გაყიდული ბილეთების ღირებულება და გაუყიდავი ბილეთები, რომ 30 ამ თვისათვის ინიშნება ფულის წარმოდგენის უკანასკნელი ვადა, რათა 2 ნოემბრისათვის შესაძლებელი გახდეს სრული ანგარიშის შედგენა. (6.—2—2)

---

## ქალაქის განაპირა უბნების მოქალაქენო, მოიყარეთ თავი!

ქართული ლატარიის საგანგებო კომისია მუსიკოსთა და დეკლამატორთა მონაწილეობით ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს, პარასკევს, 31 ს და შაბათს, 1 ნოემბერს ქალაქის განაპირა უბნების თვალსაჩინო ადგილებში, რათა ყველას საშუალება მისცეს ბილეთების შეძენისა,

აწყობს ლატარიის ბილეთების საჯარო გაყიდვას.

| | |
|---|---|
| ლატარიის ბილეთი ღირს 25 მანეთი; კუპონი—5 მანეთი | პირველი მოგება 100,000 მანეთი, მეორე—50,000 მანეთი |

ლატარიის გათამაშება მოხდება კვირას, 2 ნოემბერს, სახელმწიფო თეატრში. (6. 2—1)

---

## მონოპოლია და ჩვენი მრეწველები

ორ საგანზე გამოცხადდა დღემდე მონოპოლია. თუთუნზე და შავ ქვაზე (მარგანეცი). პირველზე სულ რამდენიმე დღის წინათ, მეორეზე კი რამდენიმე თვის წინათ. მაგრამ დღემდე არც ერთის და არც მეორის განსახორციელებლად პრაქტიკული თვალსაჩინო ზომები მიღებული არ არის.

რა არის ამის მიზეზი?

მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზია ორი რამ. ერთი მხრით სახელმწიფოს არ აქვს იმოდენა თავისუფალი თანხა, რომ ორივე სამონოპოლიო ნაწარმოები მთლიანათ შეიძინოს და შემდეგ უცხოეთის ბაზარზე გაიტანოს. ამას მრავალი ასეული მილიონი თანხა მოუნდებოდა. ამიტომ იგი იძულებულია კერძო ან საზოგადოებრივ კაპიტალს მიმართოს თავის უფლების რეალიზაციისათვის. და აი აქედან ეძლევა სათავე მეორე მიზეზს განუხორციელებლობისას. კაპიტალისთვის მთავრობამ პირველყოვლისა მიმართა თვით დაინტერესებულ ვაჭარმრეწველთ: მარგანეცის შესახებ—ჭიათურის მრეწველთ და ექსპორტიორთ, თამბაქოს შესახებ—პლანტაციების პატრონთ და თუთუნით მოვაჭრეთ. და აი აქედან იწყება ერთი დაუსრულებელი თათბირი, მსჯელობა, განგაში. თვითეული დაინტერესებული ჯგუფი მრეწველკაპიტალისტებისა ცდილობს, ეს მოსაგები საქმე თავის ხელში ჩაიგდოს საკუთრათ და ასე სახელმწიფოს უფლებები მხოლოდ თავის სასარგებლოთ გამოიყენოს.

ჭიათურაში დღემდე ვერ შეთანხმებულან მრეწველთა აქციონერული საზოგადოება და ექსპორტიორები. ერთსაც და მეორესაც სურს ეს მონოპოლია ან სავსებით უშედეგოთ დასტოვონ და ან თავის ხელში აიღონ. სახელმწიფოს ინტერესები ორივეს განზე აქვს გადადებული. მაზე არც ერთი ოდნავათაც არ ფიქრობს, მას ანგარიშს არ უწევს. თუ შე არ გამომადგება და მეტოქეებს არ გამასრესინებს, ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილაო. ბოროტი ენები ამბობენ, იქამდე მივიდა საქმე, რომ ზოგიერთმა მამულიშვილებმა გარეშე ძალასაც კი მიმართეს, რომ საკითხი თავის სასარგებლოთ გადაჭრან, და სახელმწიფო მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეს. ყველამ იცის, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა ჯერ მიღებული არ არის ევროპისაგან, რომ ამის მიღება დამოკიდებულია იქაური სახელმწიფოთა წარმომადგენლებზე. და აი ამ წარმომადგენლებს რევენ ამ შინაურ საქმეში.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს დამოუკიდებლობის იდეით ვაჭრობას. ეს ნიშნავს სამშობლოს იდეალების, დემოკრატიის უფლებების მოედანზე გამოტანას, საბაზროთ გასასყიდათ. ეს ნიშნავს იმ მუხანათობას, რომელსაც ყოველთვის მოველოდით ჩვენი მაღალი კლასებისაგან.

კაპიტალს არა აქვს წმინდათა წმინდა, ეს დიდი ხანია ცნობილია. იგი ყველაფერს სასწორზე წონის, ფულით ზომავს. და ჩვენი ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიაც სიწორით და უტყუვრათ მისდევს თავის ევროპიელ წინაპრების უმსგავს ტრადიციას.

მუშათა კლასის დღევანდელი გაჭირვება, სახელმწიფო მეურნეობის დაცემა, მისი ფინანსიური ეკონომიური გაკოტრების მოლოდინი მათ ოდნავათაც არ აფიქრებს, არ აჩერებს. პირიქით, ეს ქვეყნის უბედურება შემოსავლის წყაროთ და გამდიდრების საშუალებათ გაუხდიათ.

ასეთ პირობებშია დღეს ჩვენი ცხოვრება. მას ახალი, უჩინარი, მაგრამ მით უფრო საშიში და გაუტანელი მტერი გამოუჩნდა. მისი დემოკრატიული საფუძვლების დანგრევას ესწრაფვიან ეს შინაური და გარეშე ექსპლოატატორები.

რა უნდა ქნას ასეთ პირობებში მთავრობამ?

როგორი უნდა იყოს იმის გზა?

თუ კერძო კაპიტალი ასეთ მუხანათობას იჩენს, ასეთ შეგნებულ წინააღმდეგობას უწევს მის ერთათ ერთ სასარგებლო განზრახვებს, სახელმწიფო ვალდებულია თვითონაც ზურგი შეაქციოს ამ უკუღმართ ძალას და სხვაგან, საზოგადოებრივ ელემენტებში ეძიოს ის რეალური ძალა, რომელსაც შეუძლია მონოპოლიების განხორციელება.

ჭიათურის მრეწველთ არ სურთ შეთანხმება, არ სურთ მთავრობის აღნიშნულ ხაზზე გაიარონ. მთავრობამ უნდა დაუყონებლივ გადასცეს ეს საქმე იმ ძალას, რომელიც მის რეალიზაციას მიიღებს. გადასცეს თუნდ დროებით, თუნდ ერთი წლით, მაგრამ განხორციელება კი თავის უფლების დაუყონებლივ დაიწყოს. გაჩერება, ცდა, როდის მორიგდებიან კაპიტალისტები, როდის მოლონიერდებიან ისინი და სახელმწიფოებრივ ინტერესებსაც გაუწევენ ანგარიშსო ტყუილი ცდაა, უიმედოთ დროის დაკარგვაა.

მათ ლმობიერება და მოფერება ვერ მოარჯულებს. მხოლოდ მაშინ მოდგებიან და მოიხრიან ქედს, როცა დაინახავენ, რომ უმათოთაც ხორციელდება ის, რაც მათ დღემდე არ მოისურვეს გაეკეთებიათ. ჩვენ სერიოზულ საფრთხეს ვხედავთ იმაში, რომ მონოპოლიის დღიდან სავსებით შეწყდა მონოპოლიურ საქონლის გაზიდვა. ამით ვკარგავთ დროს, ვკარგავთ გარეშე ბაზარს, ვაჩერებთ და ვკლავთ შინ წარმოების გაღვივების საქმეს. მონოპოლია, რომელიც უნდა ეკონომიურ განვითარებას დადებოდა საფუძვლათ, ლამის მის სამარეთ იქცეს, ლამის ერთიანათ წარმოების გამანადგურებელ ძალათ მოგვევლინოს.

დრო არ ითმენს. მონოპოლია უნდა დაუყოვნებლივ იქნეს განხორციელებული, რათაც უნდა დაგვიჯდეს. დაყოვნება—მომაკვდინებელია. თუ დავაყოვნებთ—სჯობდა სულ არ აგვეღო ხელში ეს მძლავრი იარაღი. სჯობდა სრულიად მიგვეგდო კერძო ინიციატივის მტაცებლობაზე ამ საქონლის ბედი. ისინი რაიმეს, მცირედს მაინც დასტოვებდენ ქვეყნისთვის. მაშასადამე—გაბედული ნაბიჯი, მტკიცე ნება, სისწრაფე მოქმედებაში. დაუყოვნებლივ სამონოპოლიო საგნების გატანა საზღვარ გარეთ, ამას გვიკარნახებს ჩვენ დღევანდელი მდგომარეობა. დავიხმაროთ ის, ვინც დაუყოვნებლივ მოვა ჩვენთან. შემდეგ სხვანიც დაგვმორჩილდებიან. გავაკეთოთ დაუხმარებლათ ის, რაც თვით შეგვიძლია, მაშინ დამხმარენიც გამოჩნდებიან.

---

## ასისინდელ

გაზეთი „საქართველო“ წელებზე ფეხს იდგამს, რომ როგორმე იმ ანარქიაში, რომელიც აქა იქ ჩნდება, თავისი წვლილი შეიტანოს, გაამღვიოს, გააღრმავოს, გაამართლოს შეამბოხენი და დამნაშავეთ მთავრობა და მისი პოლიტიკა დასახოს.

ამ შავ საქმეში ის არა ჩვეულებრივ ენერგიას იჩენს. მოკლებული პოლიტიკური მუშაობის უნარს, უძლური მძიმე და დახლართული მდგომარეობის შეგნებაში, შეპყრობილი და დაავადებული დემოკრატიისადმი სიძულვილით, ალვსილი მართვა გამგეობის ხელში ჩაგდების წყურვილით, იგი უხვათ სარგებლობს ყოველივე შემთხვევით, რაც შეიძლება გაამღრმავოს ის უკმაყოფილება, რომელიც თავს იჩენს ხოლმე აქა-იქ.

მათი იერიში განსაკუთრებით ძლიერდება სწორეთ მაშინ, როცა ყველა პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწე მოვალეა მეტისმეტი თავდაჭერილობა და სიფრთხილე გამოიჩინოს როგორც ფაქტის დაფასებაში, ისე მთავრობისა და მისი ნაბიჯების მიმართ. ეს მეთოდი პარტიული ბრძოლისა „საქართველოს“ მისმა წინაპრებმა უანდერძა. ძველი რეჟიმის დროს ჩვენი მოწინააღმდეგენი სწორეთ მაშინ აძლიერებდნენ ჩვენზე თავდასხმას, როცა რეაქცია ძლიერდებოდა და მთელი თავის სიმძიმით მხოლოდ ჩვენ გვატყდებოდა. „საქართველო“ არც აქ ღალატობს ძველ ტრადიციებს და როცა მთავრობას ბრძოლა უხდება დამღუპველი ანარქიის, თუ სხვა კარზე მომდგარ შემმუსვრელ ტალღებთან, ისიც სწორეთ ამ დროს იძრობს თავის ჟანგიან ხმალს და იწვევს იმათკენ, ვინც იბრძვის წესიერების და მშვიდობიანობის დასამყარებლათ.

ამ დღეებში კომუნისტები რესპუბლიკას შემოესია და მის დანგრევას ლამობდენ. მთავრობის სწრაფმა ზომებმა მათი ბოროტი განძრახვა თავშივე ჩაჰკლა. მოსალოდნელი იყო, რომ ყველა, ვისაც აინტერესებს ჩვენი ქვეყნის არსებობა, ამ კითხვაში მაინც მთავრობასთან იქნებოდა, გაამაგრებდა მის პოზიციას და ასე თავის წვლილს შეიტანდა ქვეყნის დაცვის საქმეში. „საქართველომ“ კი ეს საბედისწერო ფაქტიც პარტიული ანგარიშების გასასწორებლათ გამოიყენა და მოწინავე წერილში (№ 234) არწმუნებს თავის მკითხველებს, რომ ყველაფერში დამნაშავეა მთავრობა და მისი პოლიტიკა. „ერი და მთავრობა მორალურად დაშორდა ერთმანეთს“. „ჩვენმა უხერხემალო და ხელმწიფების ყოველ უნარს მოკლებულმა მთავრობამ დროა დაინახოს, რომ ქვეყანა განსაცდელს მიიყვანა“. „მთავრობამ ვერ დააკმაყოფილა მასსა“ და სხვა.

„საქართველომ“ კარგათ იცის, თუ რამდენათ შეუძლებელია დღევანდელ პირობებში მასის სავსებით დაკმაყოფილება, მაგრამ თუ მაინც ასე უდიერათ სარგებლობს შემთხვევით დასცეს მთავრობის ავტორიტეტი—ეს იმიტომ, რომ მას ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი იეზუიტების ცნობილი მორალი: მიზანი ამართლებს საშუალებას.

და რომ თავის შავი ზრახვანი დაფაროს, ის ჩვეულებრივათ ეფარება წარამარა ხმარებაში გაცვეთილ ფრაზას: ერი, სამშობლო, ერის დაცვა, სამშობლოს სიყვარული და სხვა ასეთები. და გონია, რომ თუ ეს სიტყვები იმეორა წარა-მარა, ამით ის ერის და სამშობლოს დამცველის პატენტს აიღებს.

„წართმეული გვაქვს საშუალება მხარი დაუჭიროთ მთავრობას, ვინაიდან ეს იქნებოდა იმ პოლიტიკის გაგრძელებისთვის მხარის დაჭერა, რომელმაც შექმნა ეს კოშმარიო“. ამ „კოშმარის“ შექმნაში დიდი როლი ითამაშა და თამაშობს „საქართველო“ და მისი მიმდევრები, მარა ჩვენ დარწმუნებული ვართ, ჩვენი ხალხის შეგნება და სიმტკიცე ნებას არ მისცემს არც მემარცხენე და არც მემარჯვენე კონტრ-რევოლიუციას თავის გამარჯვება იდლესასწაულოს და არსებული წყობილების ნანგრევებზე თავის შავი დროშები აიფრიალოს. ეს არა ერთხელ დაამტკიცა ჩვენმა ხალხმა და გვჯერა, „საქართველოს“ გველისებური სისინი არცახლა გასცილდება მის რედაქციას..

განი.

---

## პრესა

„აშხატავორი“ (№ 227) ბეჭდავს მეთაურს შესახებ საქართველოს მთავრობის ტაქტიკისა დაშნაკელების პარტიის წინააღმდეგ და სხვათა შორის შემდეგსა სწერს:

„კერძო და განსაკუთრებულ“ ყურადღების საგნათ გამხდარა სომეხი მშრომელი ხალხი და რევოლიუციონური პარტია დაშნაკცუთიუნი. მათთვის არ არსებობს არც სიტყვის და არც კრების თავისუფლება. მთავრობის „ოპრიჩნიკები“ ყველა პარტიულ კრებაში ჰხედავენ „კრამოლას“ და უკრძალავენ კრებებს და განცხადებებს და ფურცლებს წინაწარ ცენზორის ხელს ადებენ, ლექტორებს სთხოვენ კონსპექტებს და თავიანთ შეხედულობის თანახმად „ასწორებენ“. ხანდისხან აპატიმრებენ კიდეც გაუგებრობით კომიტეტს, სიებს იჭერენ, ან ამ ან იმ ამხანაგს „მეგობრულათ ურჩევენ“ გაშორდეს.

„ეს სურათი წარსულიდან ცნობილია, და ზედმეტია დაწვრილებით მოყვანა ჩვენთვის ცხადია, რომ ერთი ორი თვის სიდინჯის შემდეგ ადმინისტრაცია სცდილობს ძველი მოღვაწეობის განახლებას და სომხურ რევოლიუციონურ ორგანიზაციის მოღვაწეობის დაშლას.

„გვეძნელება გავიგოთ თუ რა აიძულებს მთავრობას ამისთანა ტაქტიკის წარმოებაზე, და იმავე დროს მოვალეობათ ვთვლით, აშკარად გამოვაცხადოთ, უკეთუ ამ პოლიტიკის მიზანია შეასუსტოს დაშნაკცუთიუნის ძალა საქართველოში, უკეთუ ეს ითვლება, როგორც საშვალება „ერთნაირ ელემენტიდან“ შედგენილი სახელმწიფოს შექმნისა, მისი ავტორები ძალიან შესცდებიან. ძნელათ თუ ამისთანა ტაქტიკამ შეაშინოს ან დაასუსტოს იმისთანა პარტია, რომელსაც უნახავს ცარიზმის დევნა და მთელი რიგი სულთან ჰამიდის სახრჩობელებისა.

„რამდენადაც მალე დამთავრდება ამისთანა პოლიტიკა, იმდენად მალე იგრძნობს სომეხი ელემენტი თავი თავს საქართველოს ნამდვილ ქვეშევრდომათ და იმდენად მალე შეიქმნება ერთი რევოლიუციონური ფრონტი, რომელზედაც ასე ხშირათ ლაპარაკობენ მენშევიკური ორგანოები“.

დაშნაკელები ჩვეულებრივათ სტყუიან. მათ უნდათ თავზე მოწამებრივი გვირგვინი დაიდგან და სიბრალულის ნიადაგზე თავის შერყეული ბატონობა შეირჩინონ სომეხ მუშათა მასაში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ საქართველოს მთავრობას რაიმე რეპრესიები ეხმაროს დაშნაკელების წინააღმდეგ, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი დაშნაკელებია. მაგრამ თუ ჰქონდა ადგილი რეპრესიებს, ეს მხოლოდ მაშინ, როცა ბატონი დაშნაკელები ცდილობდენ და ლამობდენ ჩვენი რესპუბლიკის დანგრევას. ასეთ შემთხვევაში ჩვენი მთავრობა ზომებს იღებს არა მარტო დაშნაკელების წინააღმდეგ, არამედ ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ასეთ მიზანს დაისახავს. და რამდენათ მალე აიღებენ ხელს დაშნაკელები ამ ანტი რესპუბლიკანურ პოლიტიკა გამოსვლებზე, იმდენათ მალე დამყარდება ის ნორმალური ურთიერთობა, რომელიც ასე საჭიროა რესპუბლიკის ყველა მოქალაქისათვის. ეს არ უნდა შეიგნოს დაშნაკცუთიუნმა და ამით ის აგვიანებს იმ „საერთო ფრონტის“ შექმნას, რომელიც მას თითქოს კიდეც უნდა...

---

## მომავალი საპარლამენტო არჩევნები ევროპაში

საფრანგეთის სოციალისტების გაზეთ „ჰუმანიტეში“ მოთავსებულია ფედონის შემდეგი წერილი:

„იმ ქარიშხალის შემდეგ, რომელიც დაატყდა ყველა ხალხებს, მსოფლიო ომის შემდეგ, რომელმაც დიდი ცვლილებები შეიტანა ცხოვრებაში, ხალხები ემზადებიან გამოსთქვან თავიანთი შეხედულებანი მომავალ სახელმწიფო წყობილების შესახებ. ბევრ ქვეყნებში არჩევნებს აჭიანურებდენ. მმართველები სცდილობდენ, რაც შეიძლება ხანგრძლივათ შეენარჩუნებინათ თავიანთი დიქტატორული ძალა-უფლებები. რამოდენიმე წლების განმავლობაში ევროპის ხალხები იძულებული იყვნენ გაჩუმებული ყოფილიყვნენ. ძალა-უფლება რამოდენიმე პირის ხელში იყო. დეპუტატები, დააშორეს სახელმწიფო საქმეებს. სიტყვის და პრესის თავისუფლების მხოლოდ მოგონებანი ღა დარჩა. მაღალი და დაბალი პოლიცია ბატონობდა და სარგებლობდა ფართე უფლებებით. ნეიტრალურ ქვეყნებშიაც კი, სადაც ბურჟუაზიულ დემოკრატიული პრინციპები დიდი ხანია დამკვიდრებული იყო, დავიწყებას მიეცა ეს პრინციპები. მაგალითისათვის დავასახელებ შვეიცარიის, სადაც მოკავშირეთა საბჭო (შვეიცარიისა) თხოულობდა შეზღუდულ უფლებებს და და-

# დღეს

მოსკოვის ცნობებით ინდოეთში მოძრაობაა ინგლისელთა წინააღმდეგ.

არაბეთი წინააღმდეგია სირიის გაყოფისა.

ამერიკაში გაფიცვები იზრდება.

ამერიკის რამოდენიმე მსხვილმა სააქციონერო საზოგადოებამ კოლჩაკის მთავრობას წინადადება მისცა ახალი რკინის გზის ლიანდაგების გაყვანის და ქალაქების გაშენების შესახებ ციმბირში. კოლჩაკი დასთანხმდა.

ესტონეთი მხარს არ უჭერს იუდენიჩს საბჭოთა რუსეთთან ბრძოლაში.

იუდენიჩი ფინეთს დახმარებას სთხოვს.

ჟიტომირის რაიონში წითელმა ჯარმა ქ. ბერდიჩევი აიღო.

კურსკისკენ წითელმა ჯარმა ქ. კრომი აიღო.

დონის როსტოვში 30,000 მუშაა გაფიცული.

მოსკოვის ცნობებით უკრაინაში ჩერკასსი, ჩიგირინი, კანევი, ტრიპოლიე, სკვირა და ტარაშჩა წითელმა აჯანყებულებმა დაიჭირეს. მახნომ ალექსანდროვსკი აიღო. წითელი ჯარი ხერსონსა და ნიკოლაევს უახლოვდება.

---

ურდობლათ ებრძოდა საზოგადოებრივ აზრს თითქმის არარათ იქცა მუშათა კლასის მონაპოვარნი, შრომის დაცვის კანონები, ორგანიზაციების თავისუფლად მოწყობა, გაფიცვის თავისუფლება. შესაძლებელია ზომიერად შეფარდეს არჩევნების მნიშვნელობა და პარლამენტარული ბრძოლა პროლეტარიატისათვის. მაგრამ არ შეიძლება გულგრილათ მოეპყრას პროლეტარიატი ამ არჩევნებს. არჩევნები მუშათა კლასის ძალებს თავს უყრის, იწვევს აზრთა გაცვლა-გამოცვლას ხალხში სხვადასხვა იდეების გარშემო, პოლიტიკურ ცხოვრებაში ითრევს მილიონ მცხოვრებლებს, რომლებიც ჩვენს დოქტრინებს ისე ვერ შეიტყობდენ. ჩვენ არაფრის არ უნდა გვეშინოდეს, არამედ იმედი უნდა გვქონდეს და ველოდეთ ჩვენი პროპაგანდის ნაყოფს. მოწინააღმდეგეებთან შეტაკება გვაძლევს შეძლებას გავანვითაროთ ჩვენი კრიტიკა, გამოვარკვიოთ რთული პრობლემები, რომელიც ხალხის წინაშე სდგას, გავითვალისწინოთ სოციალური მოძრაობა, ვაუწყოთ ხალხს რა საშუალებით გვინდა ამ პრობლემების გადაწყვეტა. დაუმტკიცოთ, რომ არ კმარა რეფორმები და საჭიროა საზოგადოების ძირიანად გადასხვაფერება. რასაკვირველია არ შეიძლება მოველოდეთ, რომ მომავალი არჩევნები რევოლიუციას მოახდენენ, მაგრამ ისინი უეჭველია სოციალისტებს ხმებს მიუმატებს და კვლავ მივიტანთ იერიშს ძველ წყობილებაზე. ბევრ ქვეყნებში პარლამენტის რწმუნება დიდი ხანია რაც გათავდა. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის ხელახალი არჩევნები 16 თვის წინათ უნდა მომხდარიყო. აგრეთვე კარგა ხნის წინათ უნდა მომხდარიყო საფრანგეთის სენატის არჩევნები. იტალიის პალატა არჩეულ იქნა 1913 წელს და კარგა ხნის წინათვე უნდა ალაგი დაეთმო ახალ პალატისათვის. ბელგიის პარლამენტმა დაჰკარგა ყოველივე კანონიერი ბაზა. ბელგიის მცხოვრებლები, რასაკვირველია ვერ მივიდოდენ საარჩევნო ყუთებთან როდესაც თითქმის მთელი ტერიტორია გერმანელებს ეპყრათ. ახალი არჩევნები საფრანგეთში, იტალიაში, ბელგიაში მოხდება ახალ საარჩევნო კანონის თანახმად. საფრანგეთში შემოღებულია არჩევნები სიებით და პროპორციონალური წარმომადგენლობით, ბელგიამ გააუქმა მრავალი ვოტუმები, შემოიღო სწორი საარჩევნო უფლებები და ძალთა ზოგიერთ კატეგორიებს მიეცათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, გერმანიაში არჩევნები მოხდება წლის დასასრულს. ვეიმარის ნაციონალურ საბჭოს მიზნათ ჰქონდა კონსტიტუციის გამომუშავება და საზავო ხელშეკრულების მიღება. მან თავისი საქმე შეასრულა და კანონმდებლობისათვის არჩეულ იქნება რეიხსტაგი. ასევეა ფინეთში, პოლონეთში, ავსტრიაში, სადაც დამფუძნებელ სეიმებმა დაამთავრეს თავიანთი მუშაობა, და მოხდება ხალი არჩევნები კანონმდებლობისათვის. დიდი ხანი არ არის, რაც ახალი პალატა ინგლისში შეიკრიბა, რომელიც კანონიერი და სრულ უფლებიანი პარლამენტი არის იქაც მოხდება ხელახალი არჩევნები პარლამენტისა.

ჩვენ ინგლისის პალატის არჩევნების დროს გამოვსთქვით ის აზრი, რომ ახლო მომავალში საჭირო იქნება ახალი არჩევნების დანიშვნა. ბევრი მოქალაქე თაგანი, რომლებიც იარაღ ქვეშ იდგენ, მოკლებული იყვენ საშუალებას მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში, ამასთანავე არჩევნები ისე სწრაფად მოხდა, რომ ოპოზიციის პარტიებმა ვერ შესძლეს თავიანთ მოქმედების განვითარება. ლოიდ-ჯორჯმა მიმართა ყველა საშუალებას, რომ ცეზარული პლებისციტი გაეტარებინა თავის სასარგებლოთ. ეს ადვილი გასაკეთებელი იყო მაშინ, მაგრამ, რომ არ იქნებოდა ხანგრძლივი, აშკარა იყო. ყველა კერძო არჩევნებმა დაგვანახვეს, რომ ინგლისის პალატა არ არის ხალხის ნებისყოფის გამომხატველი. შვეიცარიამ შესცვალა ამ მოკლე ხანში თავის საარჩევნო სისტემა, საერთოდ კი ის ცდილობს, რითაც კი შეიძლება ჩააქროს სოციალისტური მოძრაობა ქვეყანაში. საარჩევნო სისტემა ისეთი იყო, რომ იმისდა მიუხედავათ, რომ სოციალისტებმა მიიღეს აურებელი ხმები, მათ ნაკლები ადგილები მიიღეს. პატარა კანტონებმა, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთ კონსერვატორობით, ყველაზე მეტი გავლენა მოიპოვეს პარლამენტში. 1917 წელს ოქტომბერში სოციალისტებმა მიიღეს ერთი მესამედი ხმებისა, პარლამენტში კი ერთი მერვედი ადგილი მიიღეს. ახლად მიღებული საარჩევნო კანონი სოციალისტების მდგომარეობას გააუმჯობესებს ამ მხრივ.

ჩვენი იმედები დიდია. არჩევნები, რომელიც მოხდა შვეციაში, ისპანიაში და ბოლგარეთში იმისდა მიუხედავათ, რომ მეტად მძიმე პირობებში მოხდა ისინი, ამტკიცებს ჩვენი იდეების მიმდევართა ზრდას. ახალი არჩევნები უფრო მეტ საშუალებას მოგვცემს გავარღვიოთ კედელი თანამედროვე სოციალური სისტემისა, რომელიც დაეცემა თავისი სიმძიმის ქვეშ".

## დამფუძნებელი კრება

28 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

გრ. ნათაძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა სამორიგებლო ინსტიტუტის ახალ დაწესებულებათათვის ავეჯეულობის შესაძენათ 709,220 მ. გადადების შესახებ და კანონისა: გერმანიის, ავსტრიის, უნგრეთის, ოსმალეთის და ბულგარეთის ქვეშევრდომისათვის უძრავი საკუთრების შეძენის აკრძალვის გაუქმებისა.

იგ. ჭავჭანიძის მოხსენებით მეორე განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონპროექტი სახელმწიფო კონტროლის შტატის შეცვლის შესახებ.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტის პროექტი ტფილისის კულტურულ ტეხნიკურ სასწავლებლის, ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის და წინამძღვრიანთ კარის სასოფლო სამეურნეო სკოლის შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

ხ. მდივანი კრებას მოახსენებს დეკრეტს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 15 მილ. მან. გადადების შესახებ.

ი. გობეჩია (ს. რ.) აცხადებს, რომ სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქცია კრედიტის წინააღმდეგ მისცემს ხმას სანამ არ იქნება წარმოდგენილი აქ წინეთ გაღებულ კრედიტების დახარჯვის შესახებ გასამართლებელი საბუთები და არ დარწმუნდება ფრაქცია, რომ ამ თანხის გაღებას საჭიროება მოითხოვს.

ორატორს უპასუხებენ ზ. გურული (ს.დ.) და ხ. დადიანი (ს. ფ.), რომელნიც მიუთითებენ გობეჩიას არაჩვეულებრივი სამხედრო კრედიტების დახარჯვის ანგარიშის განხილვის შეუძლებლობაზე. ამ მიზნებისათვის არის სპეციალური საკონტროლო ორგანოები, რომელნიც თვალყურს ადევნებენ ამ კრედიტების ხარჯვასო.

დაწვრილებით ახსნა განმარტებას იძლევა სამხედრო მინისტრი ნ. რამიშვილი, რომელიც, აღნიშნავს რა ჩვენს სამხედრო მდგომარეობას, ამტკიცებს, რომ ამ არაჩვეულებრივი მდგომარეობისათვის აუცილებლათ საჭიროა შესაფერი კრედიტის გაღებაო.

მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ, რომელმაც აღნიშნა, რომ სამხედრო და საბიუჯეტო კომისიებმა, აგრეთვე სახელმწიფო კონტროლმა კარგათ იციოდა თუ როგორ სწორად და მიზანშეწონილად იხარჯება სამხედრო კრედიტებიო, დეკრეტი მიღებულ იქნა. სოც. რევ. წინააღმდეგ მისცეს ხმა.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო სასანიტარო განყოფილების შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს სამაზრო და საქალაქო სასამართლო საექიმო განყოფილების შტატის და ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახაზინო რკინის გზის სამართველოსათვის 13,306,324 მან. დამატებითი კრედიტის გახსნისა.

ხ. მდივანი მოახსენებს კრებას დეკრეტს საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის განგრძობის შესახებ.

ლ. შენგელაია აკრიტიკებს მთავრობის ეკონომიურ და ფინანსიურ პოლიტიკას.

სიტყვა ეძლევა თ. ღლონტს (ს. ფ.) მაგრამ სიგვიანისა გამო მისი სიტყვა შეწყვეტილ იქნა და კამათი შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

## დეპეშები

საქართველოს ტელეგრაფის სააგენტო

29 ოქტომბერი.

**ბალშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი, ოქტ. 28.** ფრანგ. გაზეთების ცნობით ამერიკის რამდენიმე მსხვილმა სააქციონერო საზოგადოებამ კოლჩაკის მთავრობას წინადადება მისცა უკანასკნელ ტეხნიკის მიხედვით ახალი რკინის გზის ლიანდაგისა და ქალაქების გაშენების შესახებ. ციმბირის ეკონომიურად დაპყრობის მიზნით ნიუ იორკში შესდგა სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც რამდენიმე მილიონის თანხა აქვს. კოლჩაკმა ნება დართო ამერიკელებს დასახულ მიზნების განსახორციელებლად.

**მოსკოვი, ოქტ. 28.** სამხედრო ცნობა. გატჩინოსკენ მკაცრი ბრძოლები გრძელდება. პოლოცკის რაიონში ჩვენმა ჯარმა აიღო და ტბების: სვიადა, დოლგოე და სტოს ხაზზე გავიდა. ჟიტომირის რაიონში ქ. ბერდიჩევი ავიღეთ. კიევის და ჩერნიგოვის რაიონებში მდგომარეობა უცვლელია. ბრძოლით ავიღეთ ქ. დმიტროვსკი. კურსკისკენ ქ. კრომი ავიღეთ. ორიოლის სამხრეთით და აღმოსავლეთით რკინის გზასთან მკაცრი ბრძოლა სწარმოებს; უპირატესობა ჩვენ მხარეზეა. ელეცის სამხრეთ აღმოსავლეთით ბრძოლით წინ წავიწიეთ. ვორონეჟის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტრის მკაცრი წინააღმდეგობა სძლია და ლისკისკენ უტევს. ნოვოხოპერსკის ჩრდილო აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლაა. უსტ მედვედიცისკენ მტერი ვძლიეთ, სადგ. როგოჟინო ავიღეთ, ტყვეთ წამოვიყვანეთ 300-ზე მეტი კაცი, 22 აფიცერით, ხელთ ვიგდეთ 6 ტყვიისმფრქვეველი და სხვა დავლა. ცარიცის რაიონში ადგილობრივ მნიშვნელობის ბრძოლებია. ურალსკის აღმოსავლეთით 30 ვერსზე ჩვენი ჯარი მდ. ურალის სამხრეთის ნაპირზე გადადის. პეტროპავლოვსკს 60—70 ვერსით დავუახლოვდით და ბრძოლით დავიპყრეთ მაღლობ დუბროვნაია სად პეტუხოვის ხაზი, წამოვიყვანეთ 200 ზე მეტი ტყვე და ხელთ ვიგდეთ ტყვიისმფრქვეველები. იალუტოროვის რაიონში იშიმის რკ. გზის ორივე მხარეს გრძელდება ჩვენი ჯარის მარჯვე წინსვლა. რესპ. რევ. სამხ. საბჭოს სამხ. კომისარის თანაშემწე დანიშევსკი.

**ხარკოვი, ოქტ, 25.** უკვე 2 კვირაა, რაც დონის როსტოვში 30,000 მუშაა გაფიცული. ქარხანა ფაბრიკების მეპატრონეებმა სცადეს მოლაპარაკება დაეწყოთ მუშების წარმომადგენლებთან. მუშათა კომიტეტმა, რომელსაც მენშევიკები უჭერენ მხარს, გადასწყვიტა ცალკე არ შეუთანხმდეს მწარმოებლებს და გაფიცვა განაგრძოს ხელფასის მომატებამდე, სამუშაო დღის შემცირებამდე, და ვიდრე არ შესწყვეტენ მუშების დათხოვნას მუშათა კომიტეტის დაუკითხავათ.

**რეველი, ოქტ. 27.** ესტონიის ჯარის მთავარსარდალმა შვეციის გაზეთების კორესპონდენტს განუცხადა, რომ პეტროგრადის ფრონტზე ბალშევიკებმა დახმარება მიიღეს. იქ მკაცრი ომი სწარმოებს. ბალშევიკების ჯარი კარგად არის მოწყობილი და ჩაცმული. რაც შეეხება ესტონიის მიერ იუდენიჩისთვის დახმარების აღმოჩენას, ამ საკითხში სერიოზული დაბრკოლებაა. იუდენიჩი, კოლჩაკი და დენიკინი ესტლიანდიის დამოუკიდებლობას არ ღიარებენ. ბალშევიკები ესტლიანდიაში ავრცელებენ პროკლამაციებს, სადაც აღიარებენ ესტონიის დამოუკიდებლობას. ნუ თუ ესტონელები ბალშევიკების წინააღმდეგ მხარს დაუჭერენ იუდენიჩს, რომელიც არ აღიარებს ესტონიის დამოუკიდებლობას?

**ლიონი, ოქტ. 27.** ბერლინიდან მიღებული ცნობით, ლატვიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ულმანი გადადგა.

**ლიონი, ოქტ. 27.** ლონდონიდან პარიზში მოსულმა არაბეთის ემირმა ამერიკელ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ არაბეთის ხალხი არ აღიარებს სირიის გაყოფის შესახებ 1916 წ. ინგლის-საფრანგეთის შორის დადებულ ხელშეკრულებას. „ჩვენ ავიღებთ უფრო ადრე იარაღს და ვიბრძოლებთ უკანასკნელ კაცამდე და ევროპის პროტექტორატს კი არ ვაღიარებთ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენი უფლება არ იქნეს დარღვეული და სირია დარჩეს განუყოფელი და დამოუკიდებელი".

**ჰელსინგფორსი, ოქტ. 27.** შესდგა ყველა ბურჟუაზიულ პარტიათა წარმომადგენლების მრავალრიცხოვანი კრება, რომელზედაც მიიღეს რეზოლიუცია, სადაც მოითხოვენ, რომ ალანდის კუნძულები უეჭველად ფინეთს დარჩეს.

**ლიონი. 28 ოქტ.** სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ რამდენიმე დიდ სახელმწიფოს შორის ამას წინად დაიდო საიდუმლო ხელშეკრულებანი. ინგლისი ეცდება რაც შეიძლება გაიტანოს მესოპოტამიიდან, იტალია დაიჭერს ანატოლიის სამხრეთ ნაწილს, საფრანგეთი სირიას და ინგლისს შეედავება სტამბოლზე.

**კოპენჰაგენი. 28 ოქტ.** ვენიდან იუწყებიან, რომ იქ ნამდვილი შიმშილია.

**ხორსი. 28 ოქტ.** რუმინელებმა შეაჩერეს ბუდაპეშტის დაცლა.

**ნაუენი. 27 ოქტ.** გერმანიის საზავო საზოგადოებამ თავის უკანასკნელ სხდომაზე კასტელში ენერგიული პროტესტი განაცხადა რუსეთის ბლოკადის და შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევის წინააღმდეგ.

**ნაუენი. 27 ოქტ.** ქაირში რკინის-გზელთა შორის დიდი შეტაკებებია, რომელიც მოსალოდნელია, საყოველთაო გაფიცვად გადაიქცეს.

**ეკატერინოდარი. 27 ოქტ.** [illegible] გინ. [illegible] ფინეთის მთავრობას ზავის ოხოვნით მიმართა [illegible] დამხობაში. უკრაინა ფეხზე სდგება. წითელი აჯანყება მოედო უკრაინის მარჯვენა მხარეს. მთელი კიევის ნაწილი აჯანყებულთა ხელშია. ჩერკასსი, ჩიგირინი, კანევი, ტრიპოლიე, სკვირა და ტარაშჩა წითელმა აჯანყებულებმა დაიჭირეს. ბელაია ცერკოვი მწვანეების ხელშია. ხერსონში მახნოს რაზმი ან წითელ აჯანყებულთა რაზმი უნდა იყოს. ზნამენკაიასთან დენიკინელებსა და მახნოელებს შორის მკაცრი ბრძოლაა. მახნომ ალექსანდროვსკი აიღო. ელიზავეტგრადს გარს არტყია აჯანყებულები. წითელი ჯარი ხერსონს და ნიკოლაევს უახლოვდება.

დენიკინის შტაბის ცნობები ყოველ დღე აღნიშნავს აჯანყებულებთან ბრძოლას. აჯანყება პოლტავის და ეკატერინოსლავის არემარეს მოედო. ზოლოტონოშა აჯანყებულებმა დაიჭირეს. საბჭოთა ჯარის კიევთან ყოფნა წითელ აჯანყებულებს იმედს აძლევს. გახშირდა პეტლიურას და მახნოს მთელი რაზმების ჩვენ მხარეზე გადმოსვლა. უმანთან მახნომ თავის რაზმები წაიყვანა, რომ ჩვენ მხარეზე გადმოსვლა თავიდან აეცდინა.

**ხორსი. ოქტ. 27.** ქაირიდან იუწყებიან, რომ მთელ ინდოეთში არაჩვეულებრივი მოძრაობაა ინგლისელთა წინააღმდეგ.

**ხორსი. ოქტ. 27.** მთელ ამერიკას გაფიცვები მოედო.

**გერმანული პრესის ცნობები.**

ფიქრობენ, რომ ჰელსინგფორსში აჯანყების მიზეზი იქ გერმანული ჯარის გაგზავნა იყო. საქმე იმაშია, რომ უკანასკნელ კვირაში უმუშევართა მოუსვენარმა ელემენტებმა გამოიწვიეს არეულობა, რომლის ჩასაქრობადაც იქ ერთი ბატალიონი გაიგზავნა. სრულიად უსაფუძვლოა იმის შიში, თითქოს ჯარის იქ ყოფნა გავლენას იქონიებს ხმის მიცემაზე.

„დოიტშე ალგემაინე ცაიტუნგ"ში ერთი დიპლომატი აცხადებს, რომ შეკავშირეთა მოქმედება ბალტიის მხარეში გერმანიის წინააღმდეგ უფრო დამყარებულია იმ რწმენაზე, რომ იუდენიჩი უეჭველად გაიმარჯვებს. თუ გენ. იუდენიჩის დამარცხების გამო მოკავშირენი მოისურვებენ, რომ გერმანიის ჯარი ბალტიაში დარჩეს, გერმანიის მთავრობამ უნდა განაცხადოს, რომ გერმანიის ჯარის იქ დარჩენა საჭირო არ არის და რაც შეიძლება ჩქარა უნდა იქნეს იქიდან გამოყვანილი. რაც შეეხება რუსეთში რევოლიუციონურ პროცესს, გერმანია ნეიტრალური უნდა დარჩეს, მით უმეტეს, რომ რუსეთის ბლოკადაში გერმანიის მონაწილეობის მიღება შეუძლებელია. სწორედ ასევე გერმანიამ არ უნდა აღიაროს რუსეთის არც ერთი მთავრობა, ვიდრე იქ სამოქალაქო ომი არ შესწყდება. 1918 წლის მეორე ნახევარში დამოუ

---

## რევოლიუციის გაღრმავება

(კარლ კაუცკის წერილები)

(თარგმანი რუსულიდან)

II.

ყველა რევოლიუციები უკანასკნელ საუკუნისა იყვნენ ბურჟუაზიულ ხასიათის და წარმოშობის. მაგრამ, რადგან თავის თავად აღებული, ბურჟუაზია მეტათ მდარე ხარისხის მებრძოლია, ყველა ეს რევოლიუციები ხორციელდებოდენ მდაბიო ხალხის მასის მეოხებით—წვრილ ბურჟუაზიის და პროლეტარიატის ენერგიულ მონაწილეობით. ყველაზე უწინ მმართველობის საჭეს ხელში იღებს ბურჟუაზია და იყენებს თავის მიზნებისათვის. ეს არ აკმაყოფილებდა წვრილ ბურჟუაზიას და პროლეტარიატს, რომელნიც რევოლიუციონურ ბრძოლის დროს ეცნობოდენ თავის ძალას. ისინი სარგებლობდენ ამ ძალით ბურჟუაზიის თავიდან მოსაშორებლათ და უქონელ კლასთა მომხრე მთავრობის შესაქმნელათ, ამ რიგათ რევოლიუცია კლასთა ბრძოლის მეოხებით ბუნებრივათ და აუცილებლათ მიდიოდა წინ და მაგრდებოდა. ასე მაგალითად საფრანგეთში 1789 წელში რევოლიუციონურ გადატრიალებას თან მოჰყვა მონტანიარების პარტიის გამარჯვება. 1870 წლის 4 სექტემბერს მოჰყვა 18 მარტი 1871 წლისა. რუსეთში 1917 წლის მარტის (თებერვლის) რევოლიუციას თან მოჰყვა ნოემბრის (ოქტომბრის) რევოლიუცია.

ამიტომ სპარტაკელები და მათი თანამოაზრენი ფიქრობენ, რომ თანამედროვე რევოლიუციაც აგრეთვე ვერ დარჩება პირველ ფაზაში და უნდა შევიდეს მეორეში, რომელიც იქნება გამარჯვება ყველაზე რადიკალურ პარტიის სპარტაკელთა კავშირის.

სპარტაკელები ცოტა ფრთხილათ უნდა მოიქცნენ, როცა წარსულის და... შაბლონების მიხედვით მსჯელობენ აწმყოზე და გერმანიაზე.

ისინი სასტიკათ შესცდენ, როცა მიიღეს რუსული ლოზუნგები: „მთელი ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს". გერმანიის თანამედროვე რევოლიუციას აქვს თავისი კანონები.

გერმანიის რევოლიუცია იმით განსხვავდება ყველა სხვა დღევანდლამდე მომხდარ რევოლიუციათაგან, რომ ის თავისი არსებით და დასაწყისით პროლეტარული და სოციალისტურია. პროლეტარიატის შემდეგ აღარაა მეორე კლასი—გაყვლეფილი და დაჩაგრული, რომელიც თავის მხრივ დაინტერესებული იყოს ახალ რეჟიმის შემუსვრაში. არ არსებობს მეორე კლასი, რომელსაც სურდეს და ვალდებულიც იყოს გამოვიდეს დღეს რევოლიუციის გაღრმავების მიზნით წინააღმდეგ კლასისა, რომელსაც ხელში უპყრია სახელმწიფო ძალაუფლება მაშასადამე, წინააღმდეგ წარსულ რევოლიუციებისა, გერმანიის რევოლიუციის გაღრმავება არ შეიძლება გამოიხატოს ბურჟუაზიის და პროლეტარიატის ბრძოლაში. თვითეული ცდა რევოლიუციის გაღრმავებისა—პირველ ფაზის რევოლიუციონურ მთავრობის დამხობის მეოხებით უთუოდ გადაიქცევა რევოლიუციონურ კლასის შინაურ ფრონტზე ბრძოლათ

ასეთ ბრძოლას ჰქონდა ადგილი ერთი ფრიად რადიკალურ პარტიას—მონტანიარების—შინაურ ფრონტზე საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დღეებში—იმ დროს, როცა არ შეიძლებოდა არავითარი გაღრმავება, ე. ი. თვით პარტიის დაშლის წინ. 1794 წელს მარტში რობესპიერმა სიკვდილით დასაჯა ჰებერტისტები, ხოლო აპრილში დანტონისტები; ივლისში იგი თვით დაეცა და კონტრ-რევოლიუციამაც წამოჰყო თავი.

მაშასადამე რევოლიუციის გაღრმავების საკითხში დღეს არ შეიძლება ლაპარაკი ბრძოლაზე, რომელსაც აწარმოებს დაჩაგრული კლასი მჩაგვრელთა წინააღმდეგ: აქ სწარმოებს ბრძოლა მხოლოდ ერთი პარტიის წიაღში სხვადასხვა მეთოდთა და პრინციპთა სფეროში. ეს სრულიადაც არ ამტკიცებს იმას, რომ მაღლა მდგარი მუდამ ავიწროებს ძირს მდგარს, ან და, რომ უფრო რადიკალურმა მხარემ უნდა აუცილებლათ გაიმარჯვოს, ასეთ შემთხვევაზე, რომელსაც არა აქვს წარსულში მაგალითები, ისტორიული ფაქტები არაფერს არ ამბობენ.

განსხვავება პროლეტარულ პარტიათა შორის შეიძლება იყოს მხოლოდ თეორეტიული ხასიათისა.

ასე მაგალითად 1871 წელს პარიზის კომუნის წევრები გაიყვნენ ოთხ ჯგუფათ. იაკობინელები, რომლებიც იდგენ 1793 წლის მონტანიარების პარტიის თვალსაზრისზე; ისინი იბრძოდენ ხალხის, მდაბიო მასის პოლიტიკურ ბატონობისათვის, მაგრამ სრულიად არ აინტერესებდათ სოციალიზმი. მათ ახლო იდგენ ბლანკისტები, რომლებიც იაკობინელთაგან განსხვავდებოდენ იმით, რომ მათი სურვილი იყო პოლიტიკური ძალა გამოეყენებიათ სოციალურ მიზნებისათვის. მაგრამ მათ არა ჰქონდათ განსაზღვრული სოციალისტური პროგრამა და არ იჩენდენ არავითარ ინტერესს ეკონომიურ მოვლენებისადმი.

ისინი იაკობინელებთან ერთად იდგენ რადიკალურ რესპუბლიკის და კლერიკალების დევნის თვალსაზრისზე. ორივე პარტიას ჰქონდა საერთო მეთოდი პოლიტიკურ ძალის ცენტრალიზაციის და შეუბრალებელ ტერორიზმისა.

ამ ჯგუფთა მოპირდაპირეთ იდგნენ პრუდონისტები, რომლებიც სრულიად გართული იყვენ ეკონომიურ ინტერესებით, მთელი თავის ყურადღებას მიმართავდენ უმთავრესად პროლეტარიატის ეკონომიურათ განთავისუფლებისაკენ და ოდნავ ეინტერესებოდათ პოლიტიკა. ისინი წინააღმდეგი იყვენ უხეშ ძალისა და იმდენათ მიუღებლათ მიაჩნდათ პოლიტიკური ცენტრალიზაცია, რომ მოითხოვდენ საფრანგეთის დაყოფას და მის აურებელ, დამოუკიდებელ თემებად გადაქცევას. პრუდონისტები იმპერიის უკანასკნელ წლებში გამუდმებით სცვლიდენ თავის პრინციპებს ინტერნაციონალის და მის ბრწყინვალე წარმომადგენლის—კარლ მარქსის გავლენით.

ნაწილი ინტერნაციონალისტებისა, რომელიც ითვლებოდა მეოთხე ცალკე ჯგუფათ (კომუნაში) ძლიერ ახლო იდგა მარქსისტულ მსოფლმხედველობასთან, სცნობდა პოლიტიკურ ძალის მნიშვნელობას მუშათა კლასის ეკონომიურ განთავისუფლების საკითხში და აუცილებლათ სთვლიდა ქვეყნის რესპუბლიკანურ ერთიანობას, რომლის აუცილებელ პირობათ მიაჩნდა ცენტრალიზმის მაგიერ თემების თვითმართველობა. ეს ჯგუფი ჰგმობდა ტერორს.

ეს ინტერნაციონალისტები იყვენ ყველაზე მცირე ნაწილი კომუნისა, მაგრამ ისინი მოქმედებდენ ყველაზე უფრო ენერგიულათ და ყველაზე უკეთესათ უღებდენ ალღოს პოლიტიკურ მდგომარეობას. აუცილებლათ მათ უნდა მივაწეროთ კომუნის ნამდვილი დამსახურებანი.

მარქსს უმთავრესათ ისინი ჰქონდა მხედველობაში, როცა თავის წიგნში: „სამოქალაქო ომი საფრანგეთში"—დაახასიათა კომუნის მოქმედება.

მაგრამ ამ პატარა ფრაქციამ ძლიერ ცოტა რამის გაკეთება შესძლო და ისიც დიდის ჯაფით იაკობინელებთან და ბლანკისტებთან მუდმივ ბრძოლაში. პარიზის კომუნის ხანმოკლე არსებობა ძლიერ მდიდარია სამ ფრაქციათა შორის გაფთრებული ბრძოლით, რომელმაც ხელი შეუწყო კომუნის დაშლას და ოდნავათაც არ გაუღრმავებია რევოლიუცია.

უცილოა, რომ ყველა წინააღმდეგობათა მიუხედავათ ეს ფრაქციები მაგრათ იდგენ საერთო მტრის წინააღმდეგ. ისინი ებრძოდენ ერმანეთს მხოლოთ სიტყვით და იდეებითა და ყველანი დიდის თავგამოდებით იდგნენ ბოლომდე თავიანთ პოზიციებზე: პროლეტარული კლასიური შეგნება უფრო ძლიერი იყო მათში, ვინემ მეთოდების და შეხედულებათა წინააღმდეგობანი.

ეხლა ჩვენ თეორეტიულათ უფრო მაღლა ვდგევართ, ვინემ მაშინ იყო.

ჩვენ ვდგევართ იმავ მარქსისტულ ნიადაგზე და არსებითად განვსხვავდებით ერთმანეთისაგან ერთ და იმავე პრინციპთა გაგება ახსნით და გამოყენებით. ორი, სხვადასხვა პოლიუსი შეიძლება ავხსნათ მხოლოდ მით, რომ ერთი მხარე ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა საბოლოოთ ბურჟუაზიულ აზროვნებისაგან და დიდის ნდობით ეპყრობა ბურჟუაზიულ ქვეყანას, რომლის შინაგან სასიცოცხლო ძალას — ის გადაჭარბებულათ აფასებს.

მეორე მხარე კი (მარცხენა) თავის მხრივ სრულიად ვერ სწვდება ბურჟუაზიულ ქვეყანას და უკანასკნელი წარმოუდგენია არამზადათა ბუდეთ.

ის უარყოფს და ჰგმობს ბურჟუაზიის ყველა სულიერ გონებრივ და ეკონომიურ დამსახურებებს და ჰგონია, რომ პროლეტარებს შესაფერ გამოცდილების, მომზადების და სპეციალიზაციის უმისოთ შეუძლიათ დღესვე იდვან თავს ყველა პოლიტიკური და ეკონომიური ფუნქციები, რომლებსაც დღემდე ბურჟუაზია ასრულებდა.

ამ ორ უკიდურესობათა შუა, ცენტრში ჩვენ ვხედავთ მათ, რომლებმაც შეისწავლეს და მისწვდენ ბურჟუაზიულ ქვეყანას, დამოუკიდებლათ და კრიტიკულათ ეპყრობიან ამ ქვეყანას, მაგრამ სცნობენ აგრეთვე მის დამსახურება ღირსებებს; ისინი მისწვდენ მთელს სიძნელეს არსებულ ქვეყნის უფრო ამაღლებულ და სრულის ქვეყნათ შეცვლის საქმეში. ამ მარქსისტულ ცენტრის მოვალეობაა ერთი მხრივ წინ სწიოს მარჯვენა ფრთა და გამოიწვიოს მათში ცხოვრებისადმი კრიტიკა, ხოლო მეორე მხრით აღაგმოს უვიცნი და იდეიურად გაკოტრებულები (ე. ი. სპარტაკელები) მათ ბრმა იერიშებში. ამ ცენტრს მისჯილი აქვს ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ამოცანა—წინ სწიოს და იმავ დროს იბღვნოდეს უკან.

აი ეს სამი ტენდენცია იბრძვის ერთმანეთს პროლეტარიატის ბანაკში. ამ ტენდენციებს არაფერი არა აქვთ საერთო არც კლასიურ განსხვავებებთან, არც კლასიურ წინააღმდეგობებთან და არავითარი აუცილებლობა არ არსებობს, რომ უთუოდ გაიმარჯვოს ყველაზე უფრო წინ მიმსწრაფმა მხარემ; პირიქით, უფრო ნაკლები აუცილებლობაა, რომ ის წარმოადგენდეს მოძრაობის უმაღლეს ფორმას.

ცენტრი კი თავისი ინტელექტუალობით და მიწვდომის უნარით ყველაზე მაღლა სდგას. რა თქმა უნდა, ჩვენ ამით არ გვინდა ვთქვათ, რომ რევოლიუციის დროს ის მუდამ გამარჯვებული იდგება თავის პოზიციებზე. რევოლიუციის დროს სცენაზე გამოდიან მოუმწიფებელი მასები, რომლებიც ვერ ერკვევიან წვრილმანებში. 1843 წელს მარქსი და ენგელსი სრულიად ცალკე იდგნენ, როგორც ბურჟუაზიულ რადიკალების, ისე სოციალისტურ რევოლიუციონერებისაგან. 1871 წელსაც პარიზის კომუნის დაცემის შემდეგ ბლანკისტები და ბაკუნინის მიმდევარნი, ისე, როგორც სოციალ-ლიბერალები მარქსის და ენგელსის წინააღმდეგ იყვენ მომართულნი და სრულიად გაინაპირეს ისინი ინტერნაციონალში. ესევე ხდება ამ ბოლო დროს: რუსულ მარქსიზმის უბრწყინვალესმა წარმომადგენლებმა—აქსელროდმა და მარტოვმა უღირსათ დაჰკარგეს მასაში გავლენა.

(დასასრული იქნება)

...ელები ამასვე ურჩევდნენ მთავრობას. ჰააზე პირადათ ურჩევდა ამას და აღნიშნავდა, რომ როზა ლუქსენბურგი და ლიბკნეხტიც ამ აზრის იყვნენ.

# ახალი ამბები

✦ ბაქოში მოსულ ცნობებით უკრაინას მოხალისეთა ჯარისათვის ოფიციალურად ომი გამოუცხადებია.

✦ **რკინისგზელთა ყრილობამ** დაადგინა შეიძინოს რკ. გზ. ცენტრ. კავშირმა 10 ათასი მან. ქართული ლატარიის ბილეთები.

✦ **ქართული თეატრი.** ქართული დასი უკვე შეუდგა მუშაობას ჯერ ჯერობით მხოლოდ ქართ. კლუბის თეატრში. ...მოებს მოლაპარაკება სახელმწიფო თეატრის კომისართან და ოპერის ანტრეპრენიორ ბ. ევლახიშვილთან, რომ ქართულ დასს ერთი დღე მაინც დაეთმოს კვირაში სახელმწიფო თეატრში. დასი უკვე შევსებულია საბოლოოდ, ისე რომ დიდი და რთული პიესების მოზადება სახელმწიფო თეატრისათვის არ არის საძნელო. ახლო მომავალი რეპერტუარი დასისა შემდეგია: „სტუმართ მასპინძლობა“ ტრ. რამიშვილისა, „პადუის დედოფალი“, ოსკ. უაილდისა; „არალეზიელი ქალი“, „ანტიგონე“, „ოიდიპოს მეფე“, „ღალატი“, „ფუენტე ოვეხუნა“ ლ. ვეგასი და სხ.

✦ **პარიზის მაგისტრატურის მისიის ჩამოსვლა.** გუშინ თფილისზე ბაქოში გაიარა პარიზის მაგისტრატურის მისიამ, რომელიც ფრანგულ გემზე „სიროეს“-ზე ჩამოვიდა. მისიას სადგურზე შეხვდნენ თფილისში მყოფ საფრანგეთის მისიის წარმომადგენელი პრინცი ლიუსიენ მიურატი და ლეიტენანტი ჰიუგი.

✦ **თავდასხმა სოხუმის ქალაქის გამგეობის წევრზე.** ამ დღეებში სოხუმში ბოროტგამზრახველნი თავს დაესხნენ ქალაქის გამგეობის წევრს ლ. ნოვიკოვს, რომელსაც რამდენჯერმე ესროლეს, მაგრამ ვერ მოარტყეს.

✦ **ქართველ კათოლიკეთა მეორე კონფერენცია.** 9 ნოემბერს თფილისში შესდგება ქართველ კათოლიკეთა მეორე კონფერენცია ტიბიკონის საკითხის და ამის შესახებ რომში დელეგაციის გაგზავნის საკითხის გადასაწყვეტად.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებაში (პლეხანოვის პრ. სახ. № 123) რუსთა ყოფილ კლუბის შენობაში დანიშნულია შეერთებული სხდომა ქართულ განყოფილებათა წარმომადგენელთა, ძველ ლექტორთა და ლექტორობის მსურველთა. აუცილებლათ ყველა უნდა დაესწროს, წინააღმდეგ შემთხვევაში განყოფილებებში მეცადინეობა შეფერხდება და პასუხისმგებლობას გამგეობა არ კისრულობს.

✦ **სომეხთა ეროვნულმა საბჭომ** გადასწყვიტა იშუამდგომლოს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის წინაშე, რათა განთავისუფლებულ იქნეს სიღნაღის სომხურ სკოლის შენობა.

✦ **სომხურ სკოლების გახსნა.** სომეხთა ეროვნულმა საბჭომ 10 სკოლა გახსნა სხვადასხვა სოფელში, განზრახულია კიდევ გახსნას 70 სკოლა.

✦ **რუსული ბანკის დახურვა ბათუმში.** ბათუმში დახურეს რუსეთის სახელმწიფო ბანკის განყოფილება, რომლის ბინაშიაც ინგლისის კოოპერატიული ბანკი მოათავსეს.

✦ **გ. მახარაძის ჩამოსვლა.** გუშინ ერევნიდან თფილისში ჩამოვიდენ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი სომხეთში გერ. მახარაძე და რომის პაპის ლეგატი დელფუშე.

✦ **ლტოლვილ სომეხ ბავშვთა თავშესაფარების გადმოტანა.** მანგლისსა და დედოფლის წყაროში მყოფი სომეხ-ლტოლვილ ბავშვთა თავშესაფარები თფილისში იქნა გადმოტანილი. თავშესაფარებში ამ ჟამად სულ 762 ბავშვია.

✦ **დახმარება შულავერელებს.** საქართველოს სომეხთა ეროვნულმა საბჭომ გადასწყვიტა შულავერის ღარიბებს მცხოვრებთათვის 100 ფუთი ფქვილი გაიგზავნოს.

✦ **სომეხთა ეროვნულმა საბჭომ** 100 ათასი მან. გადასდო თავის სკოლებისთვის რვეულების და სამოსწავლო ხელსაწყობების შესაძენათ.

✦ **ჟურნალი „ახალი კვალის“** გამოცემა ამ დღეებში განახლდება. რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს პროვინციელ ორგანიზაციებს გაასწორონ ჟურნალის ანგარიშები და მიაწოდონ მასალები ორგანიზაციის ცხოვრებიდან.

✦ **სახალხო სახლი.** დღეს სახალხო სახ. არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორედ სახალხო სცენაზე რიშკოვის კომედია „სახაზინო ბინა“. დასაწყისი საღ. 8 საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

✦ **იპოვნა ნავროზაშვილმა** კონსტანტინე მიქაშავაძეს კუთვნილი ვექსილი სამასი თუმნისა. პატრონს შეუძლიან მიიღოს ნაძალადევის სახალხო გვარდიის შტაბში.

## ქრონიკა.

დღეს, საღ. სრულ 5 ს. ვერის მუშათა კლუბის დარბაზში დანიშნულია მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება. კრებაზე მიმდინარე მომენტზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. ალ. ლომთათიძე. ამის შემდეგ მოსმენილ იქნება მოხსენება კოლექტივის ხუთი თვის მუშაობის შესახებ, სარევიზიო კომისიის დასკვნით, თუ პირველი კრება საღამოს სრულ 5 საათ. არ შესდგა, წევრთა სიმცირის გამო, მეორე ინიშნება იმავ დღეს სრულ 6 საათზე და შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა.

— პარასკევს, 31 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე ნავთლუღის რაიონის გვარდიის შტაბის ბინაზე დანიშნულია გვარდიელების საერთო კრება. გასარჩევია ფრიად მნიშვნელოვანი კითხვები. შტაბი სთხოვს ყველა გვარდიელებს აუცილებლათ დაესწრონ.

— დღეს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მე-6 რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— თბილისის კვანძის ცენტრალური კულტურულ-განმანათლებელი კომისია სთხოვს რკინის გზელებს და მსურველებს მობრძანდენ ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, ნაძალადევის თეატრში და ჩაეწერონ რკინის გზელ მომღერალთა გუნდში, რომლის ხელმძღვანელათ მოწვეული კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილი უკვე შეუდგა გუნდის მოწყობას.

# უცხოეთი

**კაიოს საქმე.**

სასამართლო პალატის საბრალმდებლო კამერამ გადასწყვიტა პასუხის გებაში მისცეს ყოფილი მინისტრი კაიო, რომელიც 20 თვეზე მეტია რაც დატუსაღებულია. კაიოს სიკვდილით დასჯა მოელის. კაიოს სასამართლოში მიცემამ დიდი აღელვება გამოიწვია სოციალისტების და საზოგადოებრივ წრეებში. საბრალმდებლო აქტიდან სჩანს, რომ კაიო არ ყოფილა მოღალატე, არ არის არავითარი საბუთები, რომ მტკიცდებოდეს კაიოს საფრანგეთის მტრებთან კავშირი. ეს საქმე ხელოვნურათ არის შექმნილი და წააგავს დრეიფუსის საქმეს. საბრალმდებლო პუნქტში ნათქვამია, რომ საფრანგეთის ყველა მთავრობები უარსაყოფდენ ყოველგვარ კომპრომისულ ზავს, კაიო კი ცდილობდა ძალა-უფლების ხელში კვლავ ჩაგდებას, რომ დაეწყო მოლაპარაკება გერმანიასთან. ამაში საბრალმდებლო კამერა ხედავს სახელმწიფოს ღალატს. იტალიაშიაც კაიო აწარმოებდა აგიტაციას გერმანიასთან კომპრომისულ ზავის შესახებ. კაიოს საქმე ენერგიულ პროტესტებს იწვევს. ადამიანთა უფლების ლიგამ მრავალ ადგილას გამართა მიტინგი. საბრალმდებლო კამერას ბრალს სდებენ უკანონობაში, რომ მან ათასგვარი მახინაციებით შექმნა ეს საქმე, გააფართოვა თავის ფუნქციები. ადამიანთა ლიგის მდივანმა გერნუმ თავის სიტყვაში სხვათა შორის სთქვა: „როგორც დრეიფუსის საქმეში, ჩვენ არ ვიძახით, რომ კაიო არ არის დამნაშავე. მაგრამ ჩვენ ვამბობთ: თუ ის დამნაშავეა—რაღა საჭიროა ეს მახინაციები? თუ დარწმუნებული არიან, რომ მოსამართლეები გაამტყუნებენ კაიოს, რაღათ სჭირდებათ საზოგადოებრივ აზრების წინასწარი შემუშავება? თუ ბრალმდებლებს აქვთ დანაშაულის საბუთები, რაღათ სჭირდებათ ახალი საბუთების ფაბრიკაცია, თუ მოეპოვებათ ნამდვილი მოწმეები, რაღათ ცდილობენ მოწმეების მოსყიდვას? აი ყველა ეს ფაქტები იწვევენ აღელვებას ჩვენში ისევ, რასაც ჩვენი წინაპრები განიცდიდენ ამ 20 წლის წინათ დრეიფუსის პროცესის დროს.

# პირველი ქართული ლატარიის გათამაშების წესი

ლატარიის გათამაშება მოხდება ამა წლის 2 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში.

თანახმათ მთავრობის მიერ დამტკიცებულ წესდების მეოთხე მუხლისა, გათამაშებას დაესწრებიან: დამფუძნებელ კრების წევრნი, მთავრობის, ქალაქის, ერობის, სახელმწიფო ბანკის და სხვა საკრედიტო დაწესებულებათა, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს, ადგილობრივ პრესის და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

გათამაშება მოხდება შემდეგი წესით: საგანგებოთ დამზადებულ მაგიდაზე დადგმულ იქნება სამი ურნა:

ერთში იქნება სერიის ნომრები ერთიდან ოთხასამდე,

მეორეში—ბილეთის ნომრები ერთიდან ხუთასამდე,

მესამეში—მოგებათა რაოდენობა ორი ათას სამას ოთხმოცდა ცამეტი ბილეთი.

ჟურნალ „ნაკადული“-ს რედაქციისაგან წარმოდგენილ ბავშვთა მიერ ამოღებულ იქნება ერთდროულათ ორ პირველ ურნიდან თითო ბილეთი. ამოღებულ სერიისა და ბილეთის ნომრებიანი ლატარიის ბილეთი იქნება მომგებიანი, ხოლო მოგების რაოდენობას გამოარკვევს მესამე ურნიდან ამოღებული ბილეთი.

პირველ ურნიდან ყველა ოთხასი ბილეთის ამოღებისა და მეორე ურნიდან დარჩენილ ას ბილეთის ამოკრების შემდეგ, პირველ და მეორე ურნებში კვლავ ჩაჰყრიან: ერთში ოთხას და მეორეში ხუთას ბილეთს და შემდეგ ბავშვები განაგრძობენ ბილეთის ამოღებას ზემოხსენებული წესით მანამდე, სანამ არ ამოიწურება მოგება მესამე ურნიდან, ე. ი., სანამ არ გამოარკვევენ 2393 მომგებიან ბილეთს.

გათამაშებას შეუძლიან დაესწროს, რასაკვირველია, ფართე საზოგადოებაც, ხოლო, უადგილობისა გამო, თეატრში მხოლოდ იმათ შეუშვებენ, ვინც იმ დღეს, 2 ნოემბერს, თეატრის კასაში შეიძენს ლატარიის ბილეთს.

# ერობების ცხოვრება

**თათბირი შინაგან საქმეთა სამინისტროში.**

25 ოქტომბერს საღამოს შესდგა თათბირი შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით საერობო დებულებებზე. თათბირზე მოწვეული იყო ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმი მთელი შემადგენლობით, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი, ადმინისტრაციის ინსპექტორი, თფილისის მაზრის ერობის წარმომადგენელი.

აზრთა გაცვლა-გამოცვლიდან გამოირკვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობა დებულებებზე ფერხდება, სასურველია მისი დაჩქარება და ამ მხრით საჭიროა ერობათა კავშირის დახმარება. გადაწყდა მიენდოს ერობათა კავშირს ძირითადი დებულებების შემუშავება ადგილობრივი მართველობის, როგორც თემის, ისე მაზრის და ქალაქებთან დამოკიდებულება. საფუძვლად მომავალ დებულებებს უნდა დაედვას შემდეგი ძირითადი პრინციპები.

1) თვითმართველობა არის ადგილობრივი მართველობა. 2) არსებული საქალაქო და საერობო თვითმართველობანი წარმოადგენენ მხოლოდ სხვადასხვა სახეს ადგილობრივი მართველობისას რომელნიც განირჩევიან ურთიერთ შორის უფლების კომპეტენციით 3) თვითმართველობის არსებობის ერთი საფუძველთაგანი უნდა იქნეს თვითდაბეგვრა.

**ერობათა კავშირის ბეჭდვითი ორგანო.**

23 ოქტომბერს მოხდა გაერთიანებული სხდომა ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტის წარმომადგენლების და ქალაქთა კავშირის აღმასრულებელი ბიუროს შესახებ საერთო ბეჭდვითი ორგანოს გამოცემისა. მოხდა შეთანხმება, რომ გამოიცეს საერთო ორგანო. გამოყენებულ იქნას ამ მიზნით არსებული ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“. უკანასკნელს ეწოდება „თვითმართველობა“. გამოვა ორ კვირაში ერთხელ. ბიუჯეტი ორგანოსი იქნება საერთო. თვითოეული კავშირი კისრულობს თავის თავზე ხარჯების ნახევარს. სარედაქციო კოლეგია იქნება 4 პირისაგან შემდგარი. ამათგან ორი ხელმძღვანელი რედაქტორი. ჟურნალი ახალი სახელწოდებით და ახალი რედაქციით უნდა გამოვიდეს 15 ნოემბერს.

— ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მოიწვიოს ახალი ორგანოს რედაქტორ ხელმძღვანელათ ლეო ნათაძე. სარედაქციო კოლეგიაში მთავარი კომიტეტისაგან ინიშნება მ. ცქვაშვილი.

**მანუფაქტურა და ქაღალდი**

მთავარ კომიტეტმა გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა ერობებს მიეცეს ფართალი. აგრეთვე გადაწყვეტილია აღიძრას შუამდგომლობა მიემართოს მთავრობას თხოვნით მიეცეს ერობათა კავშირს სესხათ განსაზღვრულ ვადაში. საწერი ქაღალდი 10 ათასი ფუთი ერობების საჭიროებისათვის.

**სატრანსპორტო საშუალებანი**

მთავარ კომიტეტის სახელზე მოდის მთელი რიგი შუამდგომლობანი სატრანსპორტო საშუალებათა მიწოდებაზე და ტრანსპორტის მოგვარებაზე. გამოირკვა, რომ საქართველოს სააქციონერო საზოგადოება ამ ახლო ხანებში ვეღარ შესძლებს მაზრების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ნაწილობრივადაც. ამიტომ კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე მიეცეს ერობებს ხელმისაწვდომ ფასებში ავტომობილები საშუალოთ ორი მაინც თითეულ ერობას.

აგრეთვე მიეცეს მათ ცხენები და ჯორები ტრანსპორტის მოსაგვარებლათ იმ რაიონებში, სადაც საავტომობილო მიმოსვლა უგზოობის გამო შეუძლებელია.

# რაფიელ ჩიხლაძეს

(გარდაცვალებიდან ნახევარი წლის შესრულების გამო)

ქაცო, რა იქენ, სად წახველ,
ასე რათ დაიგვიანე?
ხომ არაფერი შეგემთხვა,
ხომ არა დაიზიანე?
სადა ხარ, შენის ლოდინით
გვეყო რაც გვანაღვლიანე,
მოჰხედე შენსა ბანაკსა,
დაიძახე, აახმიანე!
ნუ თუ ისე შორს წახვედი,
რომ დაიკარგე გზაშია,
ნუ თუ უმტყუნე ჩვენს მიზანს,
ნუ თუ გაგვცვალე სხვაშია?—
გაგვეხმაურე რაფიელ!—
ვილრჩვებით ცრემლის ზღვაშია!

გ. ქუჩიშვილი.

# სასოფლო მეურნეობის მოღვაწეთა ყრილობა

ასეთ შინაარსის მოწოდებით მიმართა საორგანიზაციო კომიტეტმა: 1) სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებს, 2) სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს, და 3) კოოპერატიულ კავშირებს: ჩვენი სოფლის მეურნეობაზე, სოფლის მომავალ კეთილ-დღეობაზე თუ ვინმე ზრუნავდა, ისევ ხალხის თვითმოქმედებით შექმნილ კოოპერატივებში და სასოფლო სამეურნეო საზოგადოებებში თავმოყრილი სოფლის მოჭირნახულე მშრომელი ხალხი და ინტელიგენცია.

საქართველოს პირველ აგრონომიულ ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტს სრული იმედი აქვს, რომ თქვენ მხურვალე მონაწილეობას მიიღებთ ყრილობის მოწყობაში, როგორც მოხსენებების წარმოდგენით, აგრეთვე თქვენი წარმომადგენლის სახით, მსჯელობაში მონაწილეობით

საორგანიზაციო კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ყრილობის გარეშე ვერავინ დარჩება, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის და ამ დარგში მოღვაწეობდა წარსულში ან ეხლა.

განახლებული საქართველო მოუწოდებს თავის შვილთ სასოფლო მეურნეობის ბედ იღბლის გამოსარკვევად და მის აღორძინებისთვის მტკიცე საფუძვლის ჩასაყრელად. ყველა, ვისაც კი ძალა შესწევს, უნდა მოვიდეს.

ამას გარდა თქვენ ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ყრილობის მოწყობა აუარებელ ხარჯებს მოითხოვს. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ საორგანიზაციო ხარჯებში მონაწილეობა მთავრობასა და ერობებთან ერთად შეძლებისდაგვარად საზოგადოებრივ ორგანიზაციებმაც (სასოფლო სამეურნეო საზოგადოებების, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების და კოოპერატიულ კავშირების სახით) გაიზიარონ.

საორგანიზაციო კომიტეტი მოგახსენებთ, რომ მასზე დაკისრულ წმინდა მოვალეობის შესრულებას იგი შესძლებს მხოლოდ თქვენის ფართე დახმარებით და ამის იმედიც აქვს.

ამასთანავე თანდართულ ყრილობის დებულება—პროგრამიდან თქვენ გაეცნობით ყრილობის მიზნებს და შინაარს და კომიტეტი იმედოვნებს, რომ თქვენ სულიერ და ნივთიერ თანაგრძნობას არ მოგვაკლებთ.

ფულის გამოგზავნა შეიძლება საორგანიზაციო კომიტეტის მისამართით კომიტეტის ხაზინადარ აგრონომ იოსებ ზაქარიას ძე ქურდიანის სახელზე.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე: პროფ. ს. ავალიანი. მდივანი: გ. რცხილაძე

# სომხეთში

(წერილები სომხეთის საშინაო მდგომარეობაზე).

სომხეთი ერთი პატარა ქვეყანაა, რომელიც სულ წელიწად ნახევარია, რაც სცხოვრობს დამოუკიდებლათ, თავისუფლად. დამოუკიდებლობა მიიღო ერთდა იმავე დროს, საქართველოსთან ერთად, როგორც შედეგი რუსეთის დიდი რევოლიუციისა. შორს არ არის სომხეთი აქედან, სულ ერთი დღის და ღამის სავალია რკინის გზით მის დედა ქალაქ ერევანამდე. სომხეთი მდებარეობს მაღლობ ადგილებზე, რომელიც ამხანებში წარმოადგენს განადგურებულ, აოხრებულ ქვეყანას. ქალაქები და სოფლები დანგრეულია, ხალხი გაფანტულია, თითქმის არც მიწათმოქმედობა, არც მრეწველობა, ღვთის იმედით დარჩენილია უპატრონოთ და უზრუნველათ. და ამ ქვეყანას უნდა უპატრონოს ახლად დაარსებულმა სომხეთის მთავრობამ. სომხეთში დაარსდა დემოკრატიული რესპუბლიკა. მას ჰყავს პარლამენტი და არჩეული მთავრობა, რომლის თავმჯდომარე ჩვენში კარგათ ცნობილი ალ. ხატისოვია. (თბილისის ყოფილი მოურავი).

პირველი უდიდესი აქტი, რომ მოახდინა მთავრობამ, ხატისოვმა, იყო ამ წლის მაისის 26-ში, შეერთებულ დამოუკიდებელ სომხეთის გამოცხადება. ამ აქტით რუსეთის და ოსმალეთის სომხეთი შეერთდა, ესე იგი ერევნის ოლქს და რამდენიმე მაზრების ტერიტორიას არარატის რესპუბლიკას მიემატა ოსმალეთის 6 ვილაეტი: ვანისა, დიარბექირისა, ბითლისისა, ერზერუმისა, სივაზისა, ერზინჯანისა და კილიკიასთან, ესე იგი 7 ნახევრამდე, საქართველოზე მეტათ გადიდდა. ამ აქტმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სომხებში. ოპოზიცია წინააღმდეგი იყო ამ აქტისა იმ საბუთით, რომ სიტყვით არაფერი არ ხდება, უკეთუ სინამდვილე არ შეეფარდება მას. რა სარგებლობაა იმაში, თუ 6 ვილაეთი შეერთდა, მაგრამ ვერ გავგზავნით ვერც ჯარს ხალხის დასაცავათ, ვერც გაფანტულ, გაქცეულ სომხებს დავაბრუნებთ თავის სამშობლოში და დავასახლებთ, რადგან ჯერ ჯერობით იქ თარეშობენ ქურთების და ოსმალების ბრბოები, ძარცვავენ და ჰკლავენ ხალხს, არ უშვებენ რომ შევიდნენ თავის მიწა წყალში სომეხი ლტოლვილები. მართალია, მთელმა სომხობამ თანაგრძნობა გამოუცხადა მთავრობას შეერთებულ სომხეთის იდეისთვის, მაგრამ ნაადრევათ ჩსთვალა სომხობამ ეს აქტი, და თვითონ პარიზში მყოფმა სომხეთის წარმომადგენლებმაც (ნუბარ ფაშამ და ავ. აჰარონიანმა) გააგონა სომხეთის დაშნაკელ მთავრობას, რომ თუმცა თანაგრძნობით ხვდება ამ აქტს, მაგრამ არ იცნობს ჯერ ჯერობით, როგორც არ იცნობს კანონიერათ აგრეთვე ახალ არჩეულ პარლამენტს, და შეუთვალა, რომ ახალი არჩევნები მხოლოთ მაშინ მოხდება, როცა დაბრუნდებიან ლტოლვილები სომხეთში, და შეერთებული სომხეთს საზავო კონფერენციაც იცნობს ოფიციალურადო. ხატისოვი დაშნაკცუტიუნის ერთგულებაში აჩქარდა, მაგრამ ნათქვამია: „დაეჩქარები, გამასხარავდებიო“.

სომხეთის მთავრობას დიდი სურვილი აქვს აქამდე ჯოჯოხეთური სომხეთი გადაექცია თითქმის ერთ წუთში სამოთხედ. და თავის მიზნის მისაღწევად ის არ ზოგავს არც ერთ საშუალებას.

სომხეთი თავის დამოუკიდებლობის პირველ დღიდანვე განიცდიდა შიმშილს, ხალხი დაკეტილი ყველა კუთხიდან, დარჩენილიყო უსურსათოთ, უპუროთ. იქ ათასამდე იხოცებოდენ შიმშილით. არსაიდან არ მოდიოდა ფქვილი, ამერიკის ფქვილიც არ აკმაყოფილებდა, მომწყვდეულმა თავის მთებ შუა სომხეთმა არ იცოდა რა ექნა. და ამ პირობებში, იმის მაგიერად, რომ კეთილ დამოკიდებულება ჰქონოდა თავის მეზობლებთან, რომლებთაგანაც ამ გაჭირვებულ ხანაში დახმარება მიელო, როგორც ეს ხდება ხოლმე კაცობრიობის ცხოვრებაში, სომხეთის მთავრობამ ომი გამოუცხადა საქართველოს, რომლითაც გააბრაზა ქართველი კაცი და მეზობელი, და თითქმის ასევე უნდა მოექცეს ზანგეზურის საკითხში თავის მეზობელ აღერბეიჯანსაც იმ იმედით, რომ მარტო თითონ შესძლებს სუყველაფრის გაკეთებას. და მთავრობამ, როგორც დონკიხოტმა, დაიწყო დიდ პროექტების შედგენა და შეუდგა მათ განხორციელებას. ასე განიზრახა მთავრობამ ის ურწყავი მიწები, როგორიც არიან სარდარაპატის, შარურის და შირაქის მინდვრები, 180,000 დესეტინაზე მეტი მოირწყას, რომ შესაძლებელი იყვეს იქ ხვნა-თესვა ეს საქმე დაავალეს ინჟინერ ზავალიშინს, რომელსაც უნდა შეემუშავა პროექტი ამ საქმის განსახორციელებლათ. ინჟ. ზავალიშინს ხელშეკრულობა დაუდვია მთავრობასთან, რომლის თანახმად ინჟინერს უნდა შეესრულებინა. პროექტი, რომლისთვის უნდა მიეღო 4 მილიონი მანეთი, ამ ფულიდან 200,000 მანეთი უნდა აეღო თითონ ზავალიშინს, როგორც ჯამაგირი, და სხვა ინჟინრებსაც და ტეხნიკებსაც უნდა მისცემოდა დიდი ჯამაგირები, ზავალიშინის გამოსაკვლევად. გამოკვლევა უნდა გაგრძელებულიყო სულ ათი თვე.

ხელშეკრულობა ძალაში შედიოდა ხელმოწერის დღიდანვე. 10 თვის განმავლობაში ზავალიშინის მოღვაწეობაზე უნდა კანტროლი ყოფილიყო. 200,000 მანათი მუდმივ ზავალიშინის ხელში უნდა ყოფილიყო, როგორც ავანსი. თითონ ზავალიშინს ყოველ თვე უნდა მიეღო 13 ათასი მანეთი, სულ 130,000 მან. 70,000 მანეთი კი უნდა მიეღო მუშაობის დიმთავრების შემდეგ. გამოსაკვლევ ჯგუფებისთვის მთავრობას უნდა მიეცა სურსათი. თვე ნახევრის შემდეგ ზავალიშინს უნდა წარმოედგინა სარდარაბადის მინდვრის მორწყვის პროექტი. ზავალიშინის ბინათ ერევანი უნდა ყოფილიყო.

ხელშეკრულობის წინააღმდეგ ზავალიშინს მიუღია 870,000 მან., უნდა გაეგზავნა ჯგუფები გამოსაკვლევად ალაგეოზის და არარატის მთებისა. ხოლოდ ერთი ჯგუფი 10 დღით წასულა ზემოხსენებულ მიზნით, და ეხლა ზის ერევანში და დიდ ჯამაგირებს იღებს სახელმწიფო სალაროდან. იარაღები არ ჰქონიათ, არც საჭირო რუქები. ბოროტ მოქმედობაა, უთქვამს ზავალიშინს ამხანაგებში, ამისთანა საქმეებით გართობა.

ახლა ვნახოთ რანაირი პროექტი შეუმუშავნია ინჟ. ზავალიშინს სარდარაბადის და სხვა ურწყავ ადგილების მოსარწყავათ? პროექტი ... ხმად, რომელნიც გაიცნო ინჟ. ზავალიშინმა ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოგროვილ საზოგადოებას. ინჟინერისთვის ... ხელოვნური არხები წყლის ... გოქჩის ტბიდან, ... მდინარიდან, რომლების საშვალებით უნდა მორწყულიყო 180,000 დესეტინა მიწა, უნდა მიეღოთ ელექტრონის ენერგია 280,000 ცხენის ძალისა, ასე რომ სომხეთი ძირიანად უნდა გარდაქმნილიყო ამ პროექტის განხორციელებისთვის საჭიროა ასობით მილიონები. როგორ უნდა გამოყვანილიყო წყალი გოქჩის ტბიდან? ზავალიშინის პროექტით, ტონელით, 4 ვერსტის სიგძისა, უნდა დაწყებულიყო სოფელ ჩირიდან და გამოსულიყო ტბასთან ახლო სოფელ ცამაქაბერდთან. ტონელს ექნებოდა 30 მეტრი სიღრმე და წყალს მისცემდა 75 წლის განმავლობაში, მაგრამ ამ ხნის გასვლის შემდეგ რა მოხდებოდა? ინჟ. ზავალიშინმა ვერ შესძლო გამორკვეული პასუხის მიცემა. ასე რომ ამ დროში გაკეთებული კულტურა, აშენებული სოფლები და ქალაქები შეიძლება დარჩნენ არხების ნაპირებზე უწყალო, გამშრალ არხებით, და შეიძლება გოქჩის ტბაც ამოშრეს. ეს ძალიან დიდი პროექტია შემუშავებული, მხოლოდ 75 წლისთვის, ესე იგი ერთი ჩამომავლობისათვის და თუ რა იქნება 75 წლის შემდეგ, ეს არ აინტერესებს პროექტის ავტორს, რადგან საქმე დაფარავს გაწეულ ხარჯს, და დაე შემდეგმა ჩამომავლობამ იფიქროს მსმენელზეო, უთხრა ინჟინერმა თავის მსმენელებს.

ამ პროექტმა დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია, როგორც საზოგადოებაში, ისე პრესსაში. როგორ გადაწყდება ეს საქმე, ჯერ არ ვიცით. ელიან, რომ სომხეთის პარლამენტი იტყვის თავის სიტყვას ინჟენერ ზავალიშინის პროექტის შესახებ.

ნ. ჩიჩიანი.

# რკინის გზელთა მეორე ყრილობა

**მეოთხე დღე. საღამოს სხდომა.**

სასკოლო კომიტეტის სახელით მოხსენებას აკეთებს დ. ათაბეგი. მოგვყავს მოხსენება შემოკლებით: რევოლიუციამ წამოაყენა სკოლების გაეროვნების საკითხი. ეს რთული და ბნელი საქმეა. ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ თანდათანობით. ჩვენც ამ გზას დავადექით. ამ ჟამათ გვაქვს 18 ქართული სკოლა და 2 რუსული.

სკოლების გაეროვნებამ დიდი უსიამოვნება გამოიწვია, უადგილოთ დარჩენ ზოგი რუსი მასწავლებლები.

მეორე საკითხი, რომელიც აწვევით იდგა კომიტეტის წინაშე, ეს ბინის საკითხი იყო. ჩვენ გადავწყვიტეთ მეცადინობის მოწყობა დილა საღამოს. კიდევაც მოვაწყვეთ. ბოლოს, როგორც იყო მივიღეთ ყაზარმები, რომლებსაც კაპიტალური გადაკეთება ესაჭიროებოდა. ჩვენ ამ მხრივაც მივიღეთ ზომები. საჭიროა მხოლოდ ყრილობამ დადგენილება გამოიტანოს იმის შესახებ, რომ ქალაქის თვითმართველობას ეთხოვოს ტრამვაი გაიყვანოს ყაზარმებამდე.

კომიტეტმა განიზრახა დიდ დიდ რაიონებში საბავშვო ბაღების და მოედნების მოწყობა. სამწუხაროთ სათანადოთ მომზადებულ მასწავლებელთა უყოლობის გამო, ეს ვერ განვახორციელეთ. გარდა თფილისისა. თფილისში მთავრობამ გახსნა ფრებელის კურსები და ჩვენც მოვიწვიეთ რაიონებიდან მასწავლებლები რომ დასწრებოდნენ ამ კურსებს. ხაშურში შევიძინეთ საქსოვი ქარხანა, გვინდა მოვაწყოთ სამრეწველო ხასიათის წარმოება. ხაშურში მოეწყო 4 დესეტინა ბაღი, იქავე მოეწყო სანიმუშო მინდორი, რომელიც ხელს შიუწყობს საერთოდ მეურნეობას.

ჩვენ სკოლებიდან მთავრობის განკარგულებამდე გავდევნეთ სამღვთო სჯული. ზოგიერთი ყოფილი რევოლიუციონერი მღვდელი ჩვენ მივიღეთ მასწავლებელთა თანამდებობაზე.

ჩვენ განვიზრახეთ დიდებისათვის წერა-კითხვის კურსების მოწყობა, რაც ახლო მომავალში გაიხსნება. განვიზრახეთ აგრეთვე რკინის გზელ ოსტატებისათვის ტეხნიკური კურსების გახსნა, ეს კურსებიც მალე გაიხსნება. ქართული ენის კურსები რუსებისათვის გაიხსნება ორშაბათს. შემდეგ მომხსენებელი დამაკმაყოფილებელ პასუხს იძლევა შეკითხვებზე.

შემდეგ მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება. სარევიზიო კომისიამ მიუთითა გამგეობას და კომიტეტს ზოგიერთ დეფექტებზე, და წამოაყენა აგრეთვე რამოდენიმე მოსაზრება გამგეობის, კომიტეტის და კულტურულ განმანათლებელი კომისიის რეკონსტრუქციისათვის. სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კავშირში არავითარ ბოროტმოქმედებას ადგილი არ ჰქონია.

შემდეგ გაიმართა კამათი ყველა მოხსენებათა გარშემო. კამათში მონაწილე-

ობა მიიღეს: ს. დოლიძემ, ვაშაკიძემ, კაპანაძემ, ძიძიგურმა, გიორგაძემ და სხვ. მათ მიუთითეს გამგეობას და კომიტეტს ზოგიერთ დეფექტებზე, საერთოდ კი მოიწონეს ცენტრალ. ორგანოების მოქმედება.

მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუციები.

1) საქართველოს სახაზინო რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების დელეგატთა მეორე ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენება ცენტრალურ გამგეობის და კულტურულ განათლების კომისიის მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ გამგეობა შესაფერ ენერგიით და უნარით აწესრიგებდა დავალებულ საქმეს, სოციალურ ეკონომიურ და სხვა საკითხებში. უწევდა რა ანგარიშს საერთოდ დემოკრატიულ რესპუბლიკის ფინანსიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, ცავდა მას მთელი თავისი ენერგიით და ძალღონით. კულტურულ მუშაობის დარგში ჩაუყარა საძირკველი სხვა და სხვა რაიონებში მუშათა კლუბებს, ცემდა პროფესიონალურ წიგნაკებს, ხსნიდა სამკითხველოებს, ხელმძღვანელობდა პროფესიონალური ორგანოს, ხელს უწყობდა რკინის გზის დემოკრატიის კულტურულად ამაღლებასა, ყრილობა კმაყოფილებას გამოსთქვამს გამგეობის მოქმედებით და იმედი აქვს, რომ შემდეგში აცილებულ იქნება ის წვრილმანი დეფექტები, რომელსაც ალაგი ქონდა დღევანდელ რთულ პირობებში.

2) საქართველოს სახაზინო რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა დელეგატთა მეორე ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენება რკინის გზის სამოსწავლო კომიტეტის მუშაობის შესახებ, გაითვალისწინა ის მძიმე პირობები, რომელშიაც მას უხდებოდა მუშაობა, აგრეთვე ყრილობა ადგენს თანახმად მომხსენებელის განცხადების მოწაფეთა და მასწავლებელთა მიმოსვლის პირობების გასაუმჯობესებლათ, ეთხოვოს ქალაქის თვითმართველობას ტრამვაი იქნას გაყვანილი ყოფილ ყაზარმებამდე, აგრეთვე მიეცეს წინადადება რკინის გზის ადმინისტრაციას, რათა გაუმჯობესებულ იქნას ლიანდაგზე ბავშვების სასწავლებლებში მიმოსვლა.

## ყაჩაღთა თარეში ზემო ქართლში

ამ ბოლო ხანებში ზემო ქართლისკენ ქურდბაცაც ნაძირალ ყაჩაღებმა ძალიან იჩინეს თავი. მათ დაიწყეს თარეში და მთელი ხალხი ლამის ტერორის ქვეშ დააყენონ. ეს ნაძირალები უფრო არიან ორ რაიონში: ქარელის და ხაშურის; ამ რაიონებში დაძრწიან და გლეხობას მოუწოდებენ, რომ ჩვენ ვართ ბოლშევიკები, რომელიც ებრძოდა და ებრძვის თავად აზნაურობას, რისთვისაც გვდევნის მთავრობა და თუ თქვენ გადაგვიხდიათ მთავრობის მიერ შემოწერილი ხარჯები, მაშინ არ გადაგვრჩებით ცოცხლებიო და სხვ. ხსენებულ ყაჩაღების მთავარი ბუდე შემდეგი საზოგადოებებია: ხცისის საზოგადოება, (ხაშურის რაიონი), ატენის ხეობა, ზღუდურის საზოგადოება (ქარელის რაიონი), შემდეგ კი გუჯადითი და ტერათხევის მიდამოები. ამ «შაიკაში» ხაშურის რაიონიდან არიან შემდეგნი: 1) ბუხრიკიძე ტატე, კოფა ბერიძე (ორივე სოფ. ოსიაურიდან). 3) აბესალომ ბიჩიკაშვილი, სოფ. კრისხევიდან, 4) არსენა თომიძე სოფ. ქემფერიდან, 5) გიგო ბეკოშვილი, თხინვალიდან, 6) ძულიაშვილი, ბულაურიდან, 7) ხეთაგური, ახალ სოფლიდან, 8) გელაშვილი ახალ სოფლიდან, 9) სამხარაძე პეტრე, სურამიდან, 10) თედეიშვილი სიმონ, ხაღებიდან, 11) გიკაშვილი ფედირა, ზემო გომიდან, 12) გასიშვილი გერისო ხავლეთიდან, 13) ჯიოშვილი ვასო, ყელეთიდან და 14) აბულაძე პეტრე სოფ. წაღვლიდან. ეს ჯგუფები სოფლებში დადიან და ეუბნებიან ხალხს, რომ ჩაეწერეთ ჩვენ პარტიაში, როგორც ბოლშევიკები და ვინც გადასახადებს მოგთხოვთ იმათ იარაღით გაუმასპინძლდეთო და სხვ. როგორც ირკვევა უკვე რამდენიმე ათეული გლეხი ჩაითრიეს თავის წრეში.

ამიტომ თუ მთავრობა არ შეეცადა და დასახელებულ ადგილებში შესაფერი ზომები არ იქნა დროზე მიღებული ცუდი ამბები დატრიალდება იქ.

ხოფლელი.

## ს.-დ. პარტიაში

ხაჭილაო (მარნის საზ.) 19 სექტემბერს, შესდგა მარნის საზ. ს. ს.-დ. მ. პარტიის სხდომა, რომელსაც დაესწრო წარმომადგენლები ყველა იაჩეიკებიდან გარდა თხმელარის და გაუწყინარის.

რაიონის წარმომადგენლის მოხსენებით კრება კმაყოფილი რჩება და გადადის მეორე კითხვაზე. ძირითადი იაჩეიკების მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთი ორგანიზაციები მოიკოჭლებენ და საჭიროა მათი ახლავე გამოცოცხლება. ამასთანავე კრება ავალებს პრეზიდიუმს აცნობოს თხმელარის და გაუწყინარის ძირ. ორგ., გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი მომავალ კოლექტივის სხდომაზე. დაევალოს პრეზიდიუმს, გასცეს პასუხი სამტრედიის კომიტეტს იმ ოქმიდან, რომელიც გამოტანილ იქმნა 16 მაისს 1919 წ. კორძაიას კითხვის საბოლოოდ გამორკვევა დაეჭლა პრეზიდიუმს რაიონთან ერთად. ქუნთელიას თხოვნა დაუბრუნდეს უკან, რადგან კოლექტივი წინანდელ მის მოქმედებას ამ საქმის ირგვლივ სცნობს სრულ კანონიერად. კოლექტივმა დაადგინა იქმნას ყველა ძირ. ორგ. შემოვლილი და ახსნილი დღევანდელი ჩვენი პარტიული მუშაობა და სადაც კი სისუსტეს დაინახავს, მოახდინოს გადახალისება. ამისათვის კოლექტივი ირჩევს ორ ამხ. ვლად. ჩიგოგიძეს და ვლად. თელიას. ეთხოვოს თემის გამგეობას, რომ არა სასურველ პირებს, რომლებსაც შეაქვთ მასაში არევ-დარევა, მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება. პარტიულ კორესპონდენტად კრება ერთხმად ირჩევს ამხ. ვლ. ჩიგოგიძეს.

კორესპონდენტი.

---

ბუკნარი (გურია) გურიის ს. დ. მ. პ. კომიტეტისაგან დანიშნულ ამხანაგ ნ. ჩხიკვაძის თავმჯდომარეობით, ხიდის თავის და ჩოხატაურის რაიონულ კოლექტივების მიერ არჩეულ კომისიებმა, რომელთაც მინდობილი ქონდათ ბუკნარში შექმნილ მდგომარეობის გამოძიება, რომლის მიზეზათ სთვლიდენ მირიან ბუკიას და რომელზედაც იყო წამოყენებული ბუკნარის სკოლის გარშემო ბრალდება და სხვა. დიდი ხნის კვლევა ძიების შემდეგ მ. ბუკია ამ ბრალდებებში კომ. სრულიად უდანაშაულოთ იცნო და სავსებით გაამართლა, როგორც გამოირკვა ამ ხმებს მირიან ბუკიაზე ავრცელებდენ ადგილობრივი მისი პირადი მტრები.

კომისიის თავმჯდომარე: ნ. ჩხიკვაძე, წევრები: ხ. თედორაძე, დ. ულენტი, გიორგი ხ. კალანდაძე, მიხაკო ელიაძე.

## მუშათა შორის

### ავლაბრის მუშათა კლუბი.

19 ოქტომბრიდან ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობამ დაიწყო მოქმედება. პირველი წარმოდგენა გამართულ იქნა სომხურ ენაზე. სომხური სექციის რეჟისორად გამგეობამ მოიწვია ბ-ნი ამო ხარაზიანი, რომლის მხატვრულად დადგმულმა ორმა წარმოდგენამ ნათლად გვიჩვენა, რომ მუშათა კლუბის გამგეობას საქმე აქვს გამოცდილ და ნიჭიერ ხელმძღვანელთან. ქართული სექციის ხელმძღვანელ რეჟისორად გამგეობამ მოიწვია დ. ჩარკვიანი. 26 ოქტომბერს დადგმულ იქნა ია ეკალაძის პიესა „№ 21 ჯვრით.“ დ. ჩარკვიანს ჩვენ ვიცნობთ როგორც შრომის მოყვარე და ნიჭიერ მსახიობს, ამიტომ სრულ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ახალ საქმეს, როგორიც არის ავლაბრის მუშათა კლუბი, ეს ორი ხელმძღვანელები მუშათა კლუბის გამგეობასთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებულნი ივლიან სეზონის დასრულებამდის. ავლაბრის მუშათა კლუბი, ეს განახლებული მუშათა კულტურული დაწესებულებაა ავლაბრის ფართო დემოკრატიისთვის და ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ის ნდობა, რაც გამგეობამ გამოუცხადა ბ-ნ ხარაზიანს და ჩარკვიანს, გამართლებული იქნება.

ვერხვი.

## პროვინცია

გორი. 19 ოქტომბერს ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსმა ამხანაგმა ალექსანდრე ლომთათიძემ გააკეთა ფრიად დროული და შინაარსიანი მოხსენება: „საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო“. მოხსენების დასასრულს იყო შეკითხვები, რომლებსაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. დაბოლოს ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგის ალექსანდრე ლომთათიძისა, გორის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი კრება სავსებით იწონებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და ადგენს, რომ იგი მზათ არის ერთგულათ და თავდადებით დაიცვას მის მიერ გადადგმული ნაბიჯები მომავალშიაც. ამასთანავე კრება ზიზღსა და გულისწყრომას უცხადებს მდაბიო მასაში მომქმედ პროვოკატორებს მარჯვნიდან თუ მარცხნიდან“.

იგივე მოხსენება 20 ოქტომბერს ამხ. ალ. ლომთათიძემ წაიკითხა ცხინვალში.

— გორის სამაზრო მილიციამ მიიღო ცნობა, რომ სოფელ ძეგვში მცხოვრებ ფაშალიშვილებთან იმალება დუშეთის ციხიდან გაქცეული ტუსაღი კვახაძე, რომელსაც ბრალდება მცხეთაში ბერების დახოცვა და ძეგვის კომისარის სიკვდილი, სადაც გაემგზავრა თვით მილიციის უფროსი გოგუა, დაატყვევა ხსენებული პირი და მოათავსა გორის სამაზრო სატუსაღოში.

ი. ქუტირელი.

---

თიანეთი. 17 ოქტომბერს ერწოს რაიონში შუადღისას თავს დაესხა რამოდენიმე სოფელს დუშეთის 15 შეიარაღებული ყაჩაღი. მოკლეს ერთი კაცი. დაძარცვეს მრავალი ოჯახი და დიდი ნადავლით დატვირთული ცხენებით გაემგზავრენ თავის „სამშობლო დუშეთში“. გატაცებული ყავთ მიტრო იდუკაშვილი. სთხოვენ 70,000 მანეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით ემუქრებიან.

გვარდიის შტაბმა და ადმინისტრაციამ ცნობა მიიღო 17 ოქტომბერს ღამის 12 საათზე. შტაბმა ადმინისტრაციასთან ერთად საჩქაროთ გაგზავნა გვარდიელები ტყვიისმფრქვევლებით. შედეგი არ ვიცით. ცნობები ასეთია: გზა და გზა თურმე აგიტაციას ეწეოდენ: მხარი დაუჭირეთ ბ ლშევიკებსო, მალე შეიარაღდით და მზად იყავითო.

17 ოქტომბერს არტნის საზოგადოებას დაეცა ყაჩაღები სოფელ ყვარას ბაფხის ხევში მოუკლავთ კიმოთე არჩიბაშვილი და ოდიგარ ოთიაშვილი. გაეშურა ადმინისტრაცია შედეგი ჯერჯერობით არ ვიცით.

## ფრონტისათვის

პირველი რაიონის ფრონტის დღის კომისიამ მიიღო ფოთის რაიონულ გამგეობის თავმჯდომარე ამხანაგ ერმილე ცხადაიასაგან, მის მიერ შეგროვილი შავი-ზღვის მუშა-მოსამსახურეთა შორის ოთხი ათას ორასი (4200) მანეთი უმთავრესი კომიტეტის გადასაცემად.

ამხანაგი ე. ცხადაიას წარსულ ფრონტის დღის დღესასწაულზე ქ5სადგურ ხეთაში გაუკეთებია მოხსენება ამ დღის მნიშვნელობის შესახებ, რის შემდეგაც იქაურ მუშა მოსამსახურეთ გადაუწყვეტიათ ამ დღისათვის გადაედოთ ერთი დღის ჯამაგირი.

ათ ოქტომბერს ხსენებულ მუშა-მოსამსახურეთ ეს ფული ჩაუბარებიათ ამხ. ცხადაიასთვის, ხოლო ამ უკანასკნელმა 25 ოქტომბერს გადმოსცა პირველ რაიონის კომისიას. ხსენებული კომისია დიდ მადლობას უძღვნის როგორც ამხ. ე. ცხადაიას, ისე ყველა შავი-ზღვის მუშა-მოსამსახურეთ.

პირველი რაიონის ფრონტის დღის კომისიის წევრნი: ხ. დოლიძე პ. ხურცილავა.

## წერ. რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! 22 ოქტომბერს მე გადავეცი დამფუძნებელ კრების წევრს, ბ-ნ გრ. ვეშაპელს წერილი შემდეგის შინაარსისა: „როდესაც მე, 21 ოქტომბერს, დამფუძნებელ კრების ტრიბუნიდან სიტყვას ვამბობდი, თქვენ წარმოსთქვით ჩემს შესახებ რეპლიკა ადგილიდან, რომ „ჩვენი ოფიციალური წარმომადგენლები სპეკულიაციას აწარმოებენ და დენიკინს საქონელს უგზავნიან“. რადგანაც თავს შეურაცყოფილად ვსთვლი, მოვითხოვ: ან უკან წაიღოთ თქვენი სიტყვები, ანდა დამიმტკიცოთ მათი სიმართლე სამედიატორო სამართალში. ვინაიდან ახლო მომავალში (27 ოქტომბერს) საზღვარ გარეთ მივალ, გთხოვთ მიპასუხოთ ორი დღის განმავლობაში“.

მას აქეთ ორ დღეზე მეტი გადის და ბატონ ვეშაპელისაგან პასუხი ვერ მივიღე. სამაგიეროდ, გაზეთ „კლდის“ ფურცლებზე, რომელსაც რედაქტორობს დამფუძნებელ კრების წევრი ბ-ნი ვეშაპელი, დაიბეჭდა ვინმე დ. ქებაძის წერილი, რომლითაც ბრალსა მდებს მთელ რიგ უღირსი საქციელში. თუ მე საჭიროდ ვსთვლიდი ხმა ამომეღო ბ-ონ ვეშაპელის რეპლიკაზე, როგორც დამფუძნებელ კრების წევრზე, რომელიც დაუსაბუთებელ სიტყვებს არ უნდა ისროდეს, დამამცირებლად მიმაჩნია საუბარი გავმართო ბ-ნ დ. ქებაძესთან, რომელიც თავის თავს „ბურჟუას“ უწოდებს და როგორც თითონ ამბობს „რაზბოინიკების“ შესდგომია. ისეთ გაზეთს, როგორიც „კლდეა“, ბურჟუაც დ. ქებაძისთანა უნდა.

მაგრამ მკითხველი საზოგადოება რომ შეცდომაში არ იყვეს შეყვანილი დ. ქებაძისთანა ბურჟუებისგან, მოვალედ ვსთვლი თავს შემდეგი განმარტებით დავამთავრო ჩემი წერილი:

მე ვიყავი გაგზავნილი მთავრობისაგან (ფინანსთა სამინისტრო) კონსტანტინოპოლში და იტალიაში, როგორც საქონლის გაცვლა გამოცვლის, აგრეთვე ფინანსიურ დამოკიდებულობის პირობების შესასწავლად. თუ როგორ შევასრულე ეს დავალება, ამისი დაფასება შეუძლიათ ფინანსთა სამინისტროს, დამფ. კრ. სოც. დემოკრატიულ ფრაქციას და საზოგადო დაწესებულებებს, რომელთაც წარუდგინე მოხსენებანი. კონსტანტინოპოლიდან ჩემთან ერთად მოდიოდა იტალიაში რამდენიმე ქართველი ვაჭარი, რომლებმაც არ იცოდენ არც უცხო ენები, არც იქაური პირობები. იტალიის ვიზა მათ თვით იშოვეს და ამისთვის არავითარი ჩემი შუამდგომლობა არ იყო საჭირო. მართალია ესენი იყვნენ მხოლოდ ქართველი ებრაელი ვაჭრები, მაგრამ არც ერთი მათგანი ჩემი ნათესავი არ ყოფილა მართმადიდებელი ქართველი იქ არავინ ყოფილა და არც არავის მოუმართავს ჩემთვის. ჩემთან მოგზაურ პირთა შორის იყო ჩემი ძმაც, რომელიც ჩემზე ადრე არა ერთხელ ყოფილა საზღვარ გარედ, ჩემზე უკეთ იცის იქაური პირობები, და რომელმაც პირიქით, მე აღმომიჩინა დიდი დახმარება. ყველა ამ ვაჭრებს მე აღმოვუჩინე სათანადო დახმარება, რის მოვალედ თავს მაშინაც ვთვლიდი და ეხლაც ამ აზრს ვადგევარ. ჩემი ძმის მიერ ნაყიდი საქონელი შემოტანილია საქართველოში, რაზედაც არსებობს სათანადო საბაჟო დეკლარაცია. ამას გარდა, მართალია ისიც, რომ მამაჩემს აქვს განყოფილება არა მარტო ქუთაისში, არამედ ბათუმშიაც, და იქიდან აწვდის მთელ საქართველოს და აგრეთვე სხვა რესპუბლიკებს საქონელს რის საბუთად მრავლად მოიპოვება, როგორც საბაჟოს დეკლარაციები, აგრეთვე მყიდველების განცხადება. მაგრამ ასეთი განყოფილება აქვს არა მარტო მამაჩემს, არამედ ბევრ ქრისტიან და ებრაელ ვაჭრებს, როგორიც არის საზოგადოება: „კოლხიდა“, „თამარ“ და სხვები. ყველა ეს ვაჭრები დიდ კონკურენციას უწევენ ბათუმის სომეხ და ბერძენ ვაჭრებს, რომლებიც აქამდე მხოლოდ ერთნი იყვნენ გაბატონებულნი იქ, რითაც ბათუმის ეკონომიური თანდათანი დაპყრობა ხდება.

პირადათ მე, რაც საქართველოში ვარ, არ მიწარმოებია არავითარი ვაჭრული ოპერაცია და მაშასადამე ვერც დენიკინს მივაწვდიდი საქონელს. საზღვარ გარეთ კი, მე არასოდეს არ მიმიმართავს ჩემი მანდატისთვის ზემოხსენებულ ვაჭრების დასახმარებლად.

რაც შეეხება საკუთარს, რომ მე იქ საქართველოს მთავრობისთვის საქონელი არ შევიძინე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არც ამის მქონია მინდობილობა მთავრობისაგან, თორემ მთავრობის საფასურით მე შემეძლო რამდენიმე ათეული მილიონის საქონელი მეშოვნა კრედიტით. მე აღარაფერს ვიტყვი აგრეთვე იმაზე, ვითომც მე არ მოვინდომე კონსტანტინოპოლში ჩვენი კურსის აწევა. როგორც სჩანს ეს საკითხი „კლდესაც“ და დ. ქებაძესაც ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს საკმაო ყოფილიყოს ჩემი მონდომება და ჩვენი კურსი აიწევდა.

დამფუძნებელი კრების წევრი იოხებ ელიგულაშვილი.

## თეატრი და მუსიკა

### ნაძალადევის მუშათა კლუბი.

25 ოქტომბერს ნაძალადევის მუშათა კლუბში, თფილისის კვანძის რკინის გზელთა კულტურულ - განმანათლებელ კომისიასთან არსებულ სცენის მოყვარეთა წრის მიერ გაიხსნა ზამთრის სეზონი ბერიშვილის რეჟისორობით. წარმოდგენილ იქნა ი. ეკალაძის დრამა 4 მოქმედებიანი „ნომერი ოცდა ერთი ჯვრით“. სეზონის გახსნას დიდი ძალი საზოგადოება დაესწრო და დარბაზის სიმცირის გამო ბევრიც გულ ნატკენი უკან გაბრუნდა. საერთოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე, როგორც პიესის შინაარსმა, ისე სცენის მოყვარეთა დაკვირვებულმა განსახიერებამ როლებისა. ზედმიწევნით შესრულა ნაკისრი როლი ქ. კალანდაძემ (განო ლომაური). მისმა მოხდენილმა თამაშმა და მიმიკამ განსაკუთრებით მე-4 მოქმედებაში დამსწრეთა შორის დიდი შთაბეჭდილება დასტოვა და თითქმის მთელი დარბაზი აატირა. კარგი იყო ქ. კამკამიძე (ნინა გვრიტაძე), არა უჭირ და ქ. მ. დვალს (ქეთო ლაშხი) მხოლოთ მას გამოსწორება სჭირია. მოისუსტებდა ქ. წივწივაძე, რომლის სუფლიორისკენ ცქერა ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

კარგები იყვნენ ბბ. ა. კუციაშვილი (თევდორე პატრიაშვილი), ა. ლითანაშვილი (ირაკლი კოჯზირიძე), ვ. კუდუხაშვილი (ლეონ-ბერგი), გ. პავლიაშვილი (გარეგინ ყარდაშიანი), ვ. ლაფერაშვილი (ვახმისტრ მალაჩიანი). არა უჭირდა რა ბბ. ევ. არონიშიძეს (როტმისტრ შვილიევი), ბ. ლითანაშვილი (ხრაპი), დანარჩენნი ანსამბლს ხელს უწყობდნენ. სასურველია, რომ დაძლეული იქნეს ყველა დაბრკოლებანი და ამ სეზონში განუწყვეტლივ იდგმებოდეს წარმოდგენები იმ მუშათა უბანში, როგორიც არის ნაძალადევი და დიდუბე, ვინაიდან მშრომელი ხალხი ამ უბნებისა, არც დაცემულია სულიერათ, რომ ხელოვნების ტაძარს ზურგი შეაქციოს. დასასრულს უსურვებთ ზემოხსენებულ წრეს მეტ ენერგიას და მეტს უნარს ხელოვნების სფეროში მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

პატარა ბორელი.


## განცხადებანი

## რვეულები

მოწაფეთათვის, საუკეთესო ქაღალდისაგან იყიდება ბითუმათ და ცალობით. მისამართი: ვორონცოვის ძეგლის ახლო, ვ. მალხაზიანის მაღაზია. (2752—10—4)

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 (ხემლის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ოზურგეთში ექიმი ხ. ვ. აბაშიძე მიიღებს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ელქის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—914“ და „606“ შეშხაპუნებით.

ექიმი იგ. ზოძაძე იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულების და საიკუშერო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის საავადმყოფოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95. (თ. 2744)

კბილის ექიმი მ. მ. ზიბაძურ-მხაძიანი იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

ექიმი ა. ლიმინჯნიიძე შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰეპების ავათმყოფობას. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

დოქტორი როსტომ ბაქრაძე. სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავათმყოფთა მიღება დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. საათ. გერმანელთა სამხედრო საავადმყოფოში ნაზრეინის ქ. № 15 კვირა დღეების გარდა (2603—2—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. ს. მიხარაძიანი შინაგანი ავადმყოფობა, ელქისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X ხ სხივებით, დიდი სალვარსანით და არსეხონით, ტუკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი დ. მ. ჩაჩარიძე ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

მედიცინის დოქტორი ა. ა. მოსხა. ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავათმყოფობანი ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონება. ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ.—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავათმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის ქ. (პლეხანოვისპრ.) № 111 ტელ. 13—42.

ექიმი ს. დ. [illegible] იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალთა და საბავშვო სნეულ. მიღება დღე 11—1 საათამდე [illegible]

ექიმი მ. კიკნაძე - ბაქტერიოლოგი. ბრი, სერო დიაგნოსტიური და ქიმიური მიკროსკოპიული ლაბორატორია იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროჰეტები და სხვა. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ზურგის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ოლღას) ქუჩა. გამაათ შესახვევი № 3. მისაღები მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი ზახარიონ პაპავა მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

ექიმი დ. ნ. ჯაჯანაშვილი. იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

დოქტორი ი. ი. ბაშუნოვიკი. სისხლის გამოკვლევა სიფილისიანზე (Wasserman-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიტზე, ტიფზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახვა დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ. საღ. 5—7 საათ. დიფტერიტზე მიიღება დილის 8 საღ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № 12 ტელეფონი 16—82.

ექიმი გ. ა. შაფრაძე სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“. ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი დ. ა. სახალიძე. იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

დოქტორი მ. მოლდავსიონი. თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და საღ. 4—7-დე ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი ქალი ნ. ა. ზოსელ-ხახანაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბჭოთ ლარიბებს ხაფილობის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი იოსებ რაფიელის ძე ცინცაძე იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი ა. მ. ძუთათელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი ა. დ. კაკაბაძე სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“, მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოვო-მოსკოვსკის“ პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ცენტრალურ სასურსათო საბჭოს სჭირდება საპნის ქარხნის გამგის თანამდებობაზე საპნის დამზადების მცოდნე

## სპეციალისტი-ქიმიკოსი

მსურველთ უნდა წარმოადგინონ საბჭოში (მადათოვის ქუჩა, № 3) თხოვნასთან ერთად სათანადო მოწმობები. (3—1)

## ცენტრალური სასურსათო საბჭო ჰყიდის გოგირდს და შაბიამანს

ფასების გაგება შეიძლება საქმეთა მმართველთან, საბჭოს ბინაზე, (მადათოვის ქუჩა № 3), დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (3—1)

## „ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი“

რომელიც იღებს ყოველ გვარ საკერავს და ასწავლის ჭრა-კერვას, ქარგვას, ფეხსაცმელების შეკერვას და სხვადასხვა ხელსაქმეებს ხელმისაწვდომ ფასებში, აგრეთვე ღებულობს მოწაფეების მიღებას. მისამართი: ვერის დაღმართი № 3, ბინა 9, ეზოში. (2783—8—1)

1919 წ., 15 ნოემბერს ეკატერინენფელდში დანიშნულია

## ერობის სხდომა

სადაც მოხდება მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები ბორჩალოს მაზრისა. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ განცხადებით ბორჩალოს სამაზრო ერობას ეკატერინენფელდში. (2760—3—2) ბორჩალოს სამაზრო ერობა.

მეოთხე რაიონული კოლექტივი ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს, საღამოს სრულ 5 საათზე, ვერის მუშათა კლუბის დარბაზში იწვევს

## პარტიის წევრთა საზოგადო კრებას

დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი, მოხსენებას გააკეთებს ამხ. ალ. ლომთათიძე, 2) მოხსენება კოლექტივის ხუთი თვის მუშაობის შესახებ (აპრილიდან სექტემბრამდე), 3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 4) მიმდინარე კითხვები. თუ პირველი კრება წევრთა სიმცირის გამო სრულ 5 საათზე არ შესდგა, მეორე ინიშნება იმავ დღეს საღ. 6 ს. და შესდგება მიუხედავათ წევრთა რიცხვისა.

მე-4 რაიონული კოლექტივი. (უფ. 2—2)